ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 7 ნოემბერი, 2018 №264 (7809) ფასი: 60 თეთრი

## ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება

გვ.3



# „ივანიშვილი მარტო დარჩა“



გვ.2

გია ხუხაშვილი: „მის გარშემო ძირითადად ვირთხებს ვხედავ, რომლებიც ყველა თავიანთ შეცდომასა და გადაცდომას ბიძინას დააბრალებენ“



## „კალაძეც და კობახიძეც სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურის წინაამდეგი იყვნენ“



გვ.4

## გელა ნიკოლაიშვილი: „ფარცხალაძისთვის ბრალის წაყენება წინასაარჩევნო სვლაა“

„ხელისუფლების მიმართ მთავარი პრეტენზიაა, რომ კუბლაშვილის დროინდელი მოსამართლეები და პროკურორები დატოვეს“

გვ.4

## „ვაშაძე თუ გაიმარჯვებს, მივიღებთ მრავალპარტიულ პარლამენტს და ერთი პარტიის დიქტატი აღარ იქნება“

გვ.3



### სამართალი

გვ.7

**ოთარ ფარცხალაძეს ლაშა თორდიას ცემისთვის ბრალი წაუყენეს**



მას და მიხეილ ჩოხელს 5.000-5.000-ლარიანი გირაო შეეფარდათ



**პაატა ბურჭულაძე კობა დავითაშვილისგან 25.000 ლარს ითხოვს**



კობა დავითაშვილი: „ნაცების“ ბანს მე დავსვამ ამ საბრალდებო სკამზე და გავტკეპნი მას“



**„ვხუმრობდით, იცინოდა, მერე შეიყვანეს საოპერაციოდ და ბავშვს გული გაუჩერდა“**

რუსთავში 17 წლის მოზარდი გარდაიცვალა



### ეკონომიკა

გვ.6

**ეროვნული ბანკი: „დღეს ბაზარზე არსებული დოლარის ფასი გადაჭარბებულია“**

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

**ყველა შეჩერებული მშენებლობა იდენტიფიცირებულია**





რა ქონებას ფლობს მამუკა კობახიძე

**„ყაზტრანსგაზ თბილისის“ ახალ დირექტორად თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელი დაინიშნა**



**ზაალ იაკობიძე: „ზოგიერთი ნავთობკომპანია მაღალი მოგების მარჟით მუშაობს“**

**1 ლიტრი 2.70-2.72 ლარი — საქართველოში საწვავი კიდევ გაძვირდა**



ISSN 1987-9385

5 რისთვის ხსნიან ამერიკელები საქართველოში დემოკრატიის ცენტრს?

8 ტრამპი: „არა მგონია, რომ პუტინს პარიზში შევხვდე!“

5 დავით ლორთქიფანიძე: „რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობას ვერ ვხედავ“

6 სანდრო ონოფრიშვილი მთის კურორტების განვითარების კომპანიას აღარ უხელმძღვანელებს

# „ივანიშვილი მარტო დარჩა“

## გია ხუხაშვილი: „მის გარშემო ძირითადად ვირთხებს ვხედავ, რომლებიც ყველა თავიანთ შეცდომასა და გადაცდომას ბიძინას დააბრალებენ“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ გაისუსა ნაციონალური მოძრაობა, რა სარგებლობას მოუტანს „ოცნებას“ ძველი გვარდიის დაბრუნება, ვინ შეიძლება დარჩეს ბოლომდე ივანიშვილის გვერდით, დაბრუნდება თუ არა თავად „ოცნებაში“? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.**

***— „ოცნებამ“ დასახმარებლად ძველ გვარდიას უხმო. თქვენც ერთ-ერთი პირველი მეოცნებე ხართ და თუ აპირებთ იქ დაბრუნებას?***

— ჯერ ის უნდა გაირკვეს, რას ნიშნავს ძველი გვარდია და რა იგულისხმება ამ ტერმინის ქვეშ. რაც შეეხება იმას, დავბრუნდები თუ არა „ოცნებაში“, ძალიან პათეტიურად თუ არ ჟღერს, ყოველთვის ვცდილობ სახელმწიფოს განვითარებაში ამა თუ იმ ფორმით მივიღო მონაწილეობა. დახმარება თუ ვინმეს უნდა, ყველას დავეხმარები.

ამას გეუბნებით იმიტომ, რომ საქმე ბიძინა ივანიშვილთან დაბრუნებაში არ არის. სიმართლე რომ გითხრათ, მას არც არასდროს არ ვეხმარებოდი. ჩვენ ერთად ვიყავით იმიტომ, რომ სახელმწიფო პრობლემატიკა გადაგვეწყვიტა.

შესაბამისად, მე თუ სადმე ვიქნები, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ იქ წყდება სახელმწიფო პრობლემატიკა და ძალაუფლების შენარჩუნებისთვის არ მიდის ბრძოლა.

***— „ოცნებაში“ ახლა რა პროცესი მიდის — სახელმწიფო პრობლემატიკას წყვეტენ თუ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის მიდის ბრძოლა?***

— კითხვები მაქვს და დარწმუნებული არ ვარ, რომ ძველი გვარდიის დაბრუნების შემოძახილში სახელმწიფო პრობლემატიკის გადაწყვეტა იგულისხმება. უფრო მგონია, რომ აქ პოლიტიკური პრობლემის ერთჯერადად გადაწყვეტის მცდელობასთან გვაქვს საქმე. იმისთვის, რომ ვიღაცას პოლიტიკური პრობლემა გადავუწყვიტო, ამისთვის არსად მიმსვლელი არ ვარ.

***— უკვე დაბრუნებულებზე რას იტყვით?***

— ჯერ რა პროცესსაც ვუყურებ, ეს „ოცნებისთვის“ უფრო უკუშედეგის მომტანია — ასეთი მასშტაბური შემოძახილის შემდეგ, როცა მარტო მოჭიდავეების დაბრუნებას ვუყურებთ, ეს პოზიტიურ და დადებით ემოციებს არ იწვევს.

***— „ოცნება“ ხალხს მოფერებასაც დაპირდა და ამ ფონზე მოჭიდავეების გამოჩენა მართლა უცნაურია. ხალხი ველარ ხვდება, მოეფერება „ოცნება“ თუ დაეჭიდება.***

— მარტო მოჭიდავეების გამოჩენას უკუშედეგი მოაქვს. ასეთივე უკუშედეგი მოაქვს ფარცხალაძესთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს. ფინალში რაც ვნახეთ, ამას საერთოდ ჯობდა, არ დაეწყოთ ეს საქმე.

***— რატომ ჰგონია „ოცნებას“, რომ ხალხს ასეთი ტრიუკებით აზრს შეაცვლევინებს?***

— ვერ გეტყვით. ეტყობა, მაინც უნდათ რაღაცის გაკეთება, მაგრამ შინაგანი რესურსი არ ყოფნით და უკუშედეგს იღებენ.

მოფერებამ, ძველი გვარდიის დაძახებამ და ეჭვმიტანილის დასჯამ საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგების შემდეგ დამაჯერებლობა დაკარგა. ეს უნდა გაკეთებულიყო არჩევნებამდე, არჩევნების მერე ამის ეფექტი შემცირებულია.

***— არჩევნების შედეგებმა ირაკლი კობახიძეც შეცვალა. აქამდე სულ იმას გაიძახოდა ოპონენტებზე, თავში ჩავარტყამთო, ახლა უფრო ენის მოჩლექით ლაპარაკობს და ისიც კი აღიარა, რომ ქვეყანაში სიღარიბეა.***

— თბილისს ცრემლების არ სჯერა. ირაკლი კობახიძის ცრემლები იმით სულაც არ არის განპირობებული, რომ მასში რამე შეიცვალა. მასში არც არაფერი შეცვლილა, ის ისევ ის ირაკლი კობახიძეა, უბრალოდ, ჰიპნოზის ქვეშ ყავთ და ალაპარაკებენ იმას, რაც ახლა



**„არჩევნების შემდეგ კობახიძის სახით ისევ იმ ხუჭუჭა ბიჭს ვიხილავთ, რომელსაც ამ წლების განმავლობაში ვუყურებდით“**

„ოცნებას“ სჭირდება.

„ქართული ოცნება“ ახლა ცდილობს, ეს პერიოდი რამენაირად გადააგოროს. არჩევნების შემდეგ კობახიძის სახით ისევ იმ ხუჭუჭა ბიჭს ვიხილავთ, რომელსაც ამ წლების განმავლობაში ვუყურებდით.

***— როგორც ამბობენ, ამ ხუჭუჭა ბიჭმა თავისი განცხადებებით „ოცნებას“ და ივანიშვილს ბევრი მომხრე დააკარგვინა.***

— მარტო მაგას არ დაუკარგვინებია. კობახიძისნაირი ჩახუჭუჭებულები ივანიშვილს „ოცნებაში“ კიდევ ბევრი ჰყავს.

***— ნაცების ქმედებებზე რას გვეტყვით, რაღაც საეჭვოდ არიან ჩუმად და რამე სიურპრიზები ხომ არ აქვთ მომზადებული?***

— ხელისუფლებისგან განსხვავებით, ნაციონალური მოძრაობა საკმაოდ მწყობრი და პრაგმატული ტექნოლოგიებით მუშაობს. ისინი მიიჩნევენ, რომ მეორე ტურის წინ პოლიტიკური ტემპერატურა არ უნდა ასწიონ. ისინი მომხრეებს სიმშვიდისკენ და სოლიდარობისკენ მოუწოდებენ.

არადა, ყველაფერი პირიქით უნ-



და ყოფილიყო, ხელისუფლებას მართებდა სიმშვიდე. მშვიდად ნაციონალური მოძრაობაა. ისინი ფრთხილობენ, რომ ურჩხული არ გააღვიძონ.

***— რომელი ურჩხული?***

— ურჩხული, სახელად ანტიმიშა. ყველას კარგად ესმის, რომ მეორე ტურის ბედს ლატენტური მიშიზმი და ლატენტური ანტიმიშიზმის შებრძოლება გადაწყვეტს. „ქართული ოცნება“ ახლა ლატენტური მიშიზმის გაღვიძებას ცდილობს. ნაციონალები ამას ეწინააღმდეგებიან და დღეს ძირითადად ამ სივრცეში მიდის ბრძოლა.

ხელისუფლების ასეთი ქმედება არის პარადოქსი. არჩევნების წინ ნებისმიერი ხელისუფლება სიმშვიდის შენარჩუნებით არის დაინტერესებული. როცა მშვიდად მიდის ყველაფერი, ხელისუფლების შანსები ბევრად მაღალია, რადგან მას ძალიან დიდი რესურსები აქვს.

იმისათვის, რომ მეორე ტურში შედეგი მიიღონ, ცდილობენ ამომრჩევლის რაოდენობა 46%-დან 52-53%-მდე ასწიონ. ამ პროცენტის აწევას მიშას პოლიტიკაში შემობრუნების ფაქტორით ცდილობენ.

***— ვერის ბაღის აქციაზე რას იტყვით, ან რას მოიტანს დღეს, 7 ნოემბერს დაგეგმილი ანტიმიშისტური აქცია?***

— როგორც ამბობენ, ყველა თავისას ჩალიჩობს, ცდილობენ ყველანაირად გააღვიძონ ანტიმიშა.

***— ამ აქციებით გააღვიძებენ ანტიმიშას?***

— რაღაც დოზით გააღვიძებენ. ლატენტური ანტიმიშიზმიც ორი ტიპისაა. არიან განსაკუთრებით მიამიტები და არიან შედარებით სტაბილურები. განსაკუთრებით მიამიტებს, ჩემი აზრით, გააღვიძებენ.

***— ეს შედეგისთვის საკმარისი იქნება?***

— საკმარისი იქნება თუ არა, ამაზე კომენტარისგან თავს შევიკავებ.

***— რატომ?***

— გადავწყვიტე, რომ მეორე ტურის წინ პროგნოზები არ გავაკეთო.

***— „ოცნების“ ლიდერები მოსალოდნელ რევანშზე ბევრს საუბრობენ. თქვენ არ გეშინიათ რევანშის? სხვა თუ არაფერი, ერთ-ერთი გამოკვეთილი ანტიმიშისტი იყავით.***

— „ქართული ოცნების“ დღევანდელი ელიტისგან განსხვავებით, მიშასი არც მაშინ მეშინოდა, როცა ის ხელისუფლებაში იყო და, ბუნებრივია, რომ არც ახლა არ მეშინია.

ვინც რევანშზე საუბრობს, ეს ის ხალხია, ვინც მიშას დროს ბუჩქებში ისხდნენ და რა გასაკვირია, რომ ახლაც შიშები აქვთ.

მოდით განვიხილოთ, რა მოხდება, თუ ვაშაძე გახდა პრეზიდენტი. ამის მაქსიმუმი იქნება ის, რომ სააკაშვილი საქართველოში დაბრუნდება და ხელშეუხებელი გახდება. ერთ მხარეს იქნება მოქალაქე მიშა სააკაშვილი, ხოლო მეორე მხარეს ყველა სახელისუფლებო ატრიბუტით „ქართული ოცნება“.

დიდი ბოდიში, მაგრამ ეს შიში რაციონს სცილდება. თუ იმის ეშინიათ, რომ მიშა სააკაშვილი აქციებს მოაწყობს, ეს თავის თავს დააბრალონ. აქციები წარმატებული იმიტომ კი არ არის, რომ მას მიშა ან სხვა ვინმე უდგება სათავეში, აქციები იმ შემთხვევაშია წარმატებული თუ ხელისუფლება აკეთებს რაღაცას არასწორად.

შესაბამისად, თუ არასტაბილურობის წინაპირობები გაჩნდა, პრობლემა სააკაშვილში კი არ იქნება, არამედ ხელისუფლებაში იქნება, რომლის მუშაობითაც ხალხი უკმაყოფილოა.

„ოცნება“ პრობლემას თავის თავში არ ეძებს. რიტორიკულად საუბრობენ რაღაცებს და თავადაც არ სჯერათ ამისი. თავისი განცხადებებით ისინი სააკაშვილის რეკლამირებას ეწევიან. თორემ ვინ არის სააკაშვილი? ერთი აბდაუბდა კაცია. მერე რა თუ ჩამოვა!

***— მთელი ეს წლები გვესმოდა რომ კოაბიტაცია დემოკრატიისთვის აუცილებელი იყო. ახლა ამაზე ამბობენ, რომ შეცდომა დავუშვითო. ამაზე რას გვეტყვით?***

— ჩავლილ მატარებელზე მუდ-

**ხელისუფლებისგან განსხვავებით, ნაციონალური მოძრაობა საკმაოდ მწყობრი და პრაგმატული ტექნოლოგიებით მუშაობს. ისინი მიიჩნევენ, რომ მეორე ტურის წინ პოლიტიკური ტემპერატურა არ უნდა ასწიონ. ისინი მომხრეებს სიმშვიდისა და სოლიდარობისკენ მოუწოდებენ. არადა, ყველაფერი პირიქით უნდა ყოფილიყო, ხელისუფლებას მართებდა სიმშვიდე. მშვიდად ნაციონალური მოძრაობაა. ისინი ფრთხილობენ, რომ ურჩხული არ გააღვიძონ.**

მივად ლოყების დახოკვა არასერიოზულია. კოაბიტაცია თუ პრობლემა იყო, აქამდე სად იყვნენ. რიგითი მოქალაქისგან პოლიტიკოსი იმით განსხვავდება, რომ წინასწარ ხედავს ამ პრობლემას და ცდილობს მის მოგვარებას.

კოაბიტაცია რომ შეცდომა იყო, ამაზე განსაკუთრებულად ბევრს ის ხალხი საუბრობს, ვინც სააკაშვილს ემსახურებოდა. ვაჟკაცური სახეებით ის ხალხი გვესაუბრება, რომლებიც ან ადეიშვილის თანაშემწედ მუშაობდნენ, ან პროკურატურაში საპროცესო გარიგებებს აწარმოებდა.

ეს ტრაგედიაა, მაგრამ იმდენად არის კომიზმით გაჟღენთილი, რომ ხელში ტრაგიკომედია შეგვრჩა.

***— ხელისუფლების წარმომადგენლები მართლა საოცარ განცხადებებს აკეთებენ და „ოცნებაში“ მრჩეველი არ ყავთ?***

— უცნაური განცხადებები უკვე რამდენიმე წელია რაც გვესმის. „ოცნებაში“ ისეთი ადამიანები დომინირებენ, რომლებიც ცდილობენ ივანიშვილს ასიამოვნონ და საერთოდ არ ზრუნავენ იმაზე, რომ რეალობა დაანახონ. აი, ასეთი გარემოა მმართველ გუნდში შექმნილი და შედეგიც შესაბამისი დადგა.

მე ვცადე მისთვის სიმართლე დამენახებინა და ყველამ ნახეთ, რა რეაქციაც ჰქონდა ამაზე.

***— არ უყვარს ივანიშვილს სიმართლის მოსმენა?***

— სანამ ერთად ვიყავით, ასე არ იყო. ჩვენ ხშირად გვიკამათია ამა თუ იმ საკითხზე. მას შემდეგ რაღაცები შეიცვალა. შეიცვალა ივანიშვილის დამოკიდებულებაც.

***— ფული და ძალაუფლება მაშინაც ჰქონდა და ახლა რამ შეცვალა, გარემოცვამ?***

— შენ თავად ასეთი განწყობა თუ არა გაქვს, გარედან ვერავინ ვერ შეგცვლის. როგორც ჩანს, მას ჰქონდა ასეთი განწყობა და ისეთი კომფორტის სურვილი გაუჩნდა, რომ მხოლოდ ვარდისფერ ფერებში უყუროს სამყაროს.

***— ამ ვარდისფერი სათვალეებიდან ცქერა იმით დასრულდა, რომ „ოცნების“ გაფუჭებულ საქმეებზე მას უწევს ბოდიშის მოხდა.***

— ეს ასეა და ამის ყურება ჩემთვის ძალიან მძიმეა. ადამიანურად, ბიძინა ივანიშვილი ჩემთვის სულერთი არ არის. პოლიტიკურ ჭრილში მის მიმართ ძალიან კრიტიკული ვარ, მაგრამ ადამიანურად მას და მის ოჯახს ვგულშემატკივრობ. შესაბამისად, მას რომ ბოდიშის მოხდა მოუწია, ამან ჩემში უსიამოვნო ნალექი დატოვა.

***— ბევრმა თქვა, რომ ივანიშვილი მარტო დარჩენილ ადამიანს ჰგავდაო. თქვენ მას იცნობთ და თქვენც ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩათ?***

— ის უკვე დიდი ხანია მარტოა. მის გვერდით არავინ არ არის, ყველა მის ქვემოთ არის. რაც ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ეს მისი არჩევანია.

***— რამე რომ შეიცვალოს ქვეყანაში, ეს ქვემოთ მყოფები მას უერთგულებენ?***

— ვიღაც, რა თქმა უნდა, დარჩება. როგორც ადამიანის, მეც მის გვერდით დავდგები. მის გვერდით ძირითადად ვირთხებს ვხედავ. ისეთი ხალხი ჰყავს გარშემო, ვისაც ხელიდან პასტას ვერ გააგდებინებენ და ყველაფერზე ივანიშვილს შეახოცავენ ხელს. თავის ყველა დანაშაულსა და გადაცდომაზე იტყვიან, მან დაგვავალაო.

***— ზემოთ თქვით, მიშას დაბრუნების და რევანშის არ მეშინიაო. აშკარაა, რომ სხვებისგან განსხვავებით მომავალსაც უფრო ოპტიმისტურად უყურებთ.***

— რაც არ უნდა ნეგატიურად გვეჩვენებოდეს, ნებისმიერი სიტუაციიდან არის გამოსავალი და მოვლენების ნებისმიერ სცენარს აქვს თავისი პოზიტივი.

სალომე ზურაბიშვილი თუ გახდება პრეზიდენტი, ეს პოლიტიკური სტაბილურობისთვის კარგია. ვაშაძე თუ გაიმარჯვებს, არაფერი ცუდი არ მოხდება. ძალაუფლება რჩება „ოცნების“ ხელში. კეთილი ინებონ და გაინძრნენ, აკეთონ ის, რაც ქვეყანას სჭირდება.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ვაშაძე თუ გაიმარჯვებს, მივიღებთ მრავალპარტიულ პარლამენტს და ერთი პარტიის დიქტატი აღარ იქნება“

## მამუკა გამყრელიძე: „კორპორაცია ზემოდან იმართება, სახელმწიფო კი – ქვემოდან“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს „პოლიტიკური გაერთიანების ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, საზოგადოების ნაწილი „ოცნების“ შემხედვარე ხუმრობის ხასიათზეც დადგა. ერთი წელი რომ გახანგრძლივდებოდეს მეორე ტური, ალბათ ხელისუფლება აფხაზეთსაც დაგვიბრუნებსო. რას იტყვით თქვენ, შეეშინდა „ოცნებას“?***

– რა თქმა უნდა, შეშინდნენ, მაგრამ მე ასე ვიტყოდი, რომ გინდ ერთი წელი გაგრძელდეს წინასაარჩევნო კამპანია და გინდ ათი წელი, მათი დაპირებები აბსოლუტურად საფუძველს მოკლებულია.

ხელისუფლებას, რომელსაც ტოტალური უმრავლესობა ჰქონდა პარლამენტშიც და მთავრობაშიც და 6 წლის განმავლობაში რომ არაფერს გააკეთებს, რანაირად შეიძლება, რამდენიმე თვეზე ვენდოთ. რაც არ უნდა შეგვპირდნენ, არაფრის გამკეთებლები ეგენი არ არიან.

მე არც ერთ მათ დაპირებას არ დავუჯერებდი. მერე რომ ვუსმენ ამ ადამიანებს, ძირითადი აქცენტი არა დაპირებებია და არა რაღაც „მოფერება და ჩახუტება“, არამედ ყველაზე ცუდი და ყველაზე ბინძური რაღაც – მიშა მოვა, მიშა მოვაო.

***– მეორე ტურში პირისპირ აღმოჩნდნენ გრიგოლ ვაშაძე, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას წარმოადგენს და სალომე ზურაბიშვილი, რომელიც „ქართულ ოცნებასთანაა“ გაიგივებული. გადაწონის ისევ ის 9 წელი?***

– დიახ, გრიგოლ ვაშაძე ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრია და ამაში არაფერი ცუდი არ არის. ძალიან რთულია, რომ აუხსნა იმ ადამიანებს, ვისაც თვალები აქვს დაბნელებული იმ 9 წლის სიძულვილით. თუმცა იმ 9 წლის გუნდიდან პოლიტსაბჭოში დარჩენილია ალბათ 2-3 ადამიანი. პრაქტიკულად მთლიანად არის გადახალისებული ნაციონალური მოძრაობა.

მეორეც ერთი, ჩვენ ნაციონალურ მოძრაობაზე ხომ არ ვლაპარაკობთ, არა?! ნაციონალური მოძრაობა ღმერთმა კარგად ამყოფოს, მაგრამ ჩვენ ვლაპარაკობთ კოალიციაზე. კოალიციაში, გარდა ნაციონალური მოძრაობისა, კიდევ არის 10 სუბიექტი და ახლა კიდევ გვემატებიან, მუდმივად მოლაპარაკებების რეჟიმში ვართ. დარწმუნებული ვარ, რომ საპარლამენტო არჩევნებზე კიდევ გააქტიურდება ეს პროცესი და კიდევ შემოგვემატება ხალხი.

აქედან გამომდინარე, ნაციონალური მოძრაობა დიდი დოზით ვერ იქნება და არიქა მიშა იქნება, ამაზე ფიქრი არის საფუძველს მოკლებული. ეს გამორიცხულია.

***– ჯერ გაიყარნენ და შემდეგ შეიყარნენო, ასე ამბობენ თქვენს კოალიციაზე. ამაზე რას იტყვით?***

– ვერც ამაში ვხედავ ვერაფერს ცუდს.

***– ბევრს ჰგონია, რომ ეს იყო თამაში თავის დროზე. ასეა?***

– არა, არა. იმდენად დიდია პრინციპული განსხვავებები ამ ორ გუნდს შორის, ნაციონალურ მოძრაობს და ევროპულ საქართველოს ვგულისხმობ, რომ მათი დიდხანს ერთად ყოფნა შეუძლებელია. დარწმუნებული ვარ, ამ არჩევნების შემდეგ ისინი კვლავ ცალ-ცალკე დადგებიან. ხოლო რაც შეეხება ერთად შეტევას „ქართულ ოცნებაზე“, ეს აბსოლუტურად რეალურია და ეს ასეც იქნება, იმიტომ, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. ხელისუფლება კი უნდა შეიცვალოს კვალიფიციური, ძლიერი, ენერგიული და გამოცდილი ხალხით. ამ კოალიციაში ბევრი ღირსეული და გამოცდილი ადამიანია თავმოყრილი.

***– თქვენთვისაც ცნობილია, რომ უუფლებო პრეზიდენტი გვეყოლება. დავუშვათ, გაიმარჯვა ვაშაძემ, როგორ აპირებთ ხელისუფლების შეცვლას?***

– არ დაგეთანხმებით. უუფლებო ნამდვილად არ არის. მას აქვს უფლებები. უპირველეს ყოვლისა, მას აქვს ტრიბუნა. მოდით, ასე ვთქვათ, გააჩნია პერსონასაც, რომელი პერსონა იკავებს ამ პოსტს.

***– ამით რისი თქმა გინდათ?***

– თუ ჩვენ ვილაპარაკებთ მარგველაშვილზე, მან ეს პოსტი უბრალოდ ტყუილად გააცდინა, ხოლო როდესაც გრიგოლ ვაშაძე იქნება იმ ადგილზე, დამერწმუნეთ, სრულიად სხვა ძალის იქნება ეს ადამიანი და, რაც მთავარია, ეს ტრიბუნა არა მხოლოდ საქართველოს პარლამენტში და მოსახლეობის წინაშეა, არამედ ტრიბუნაა უცხოეთში, უპირველეს ყოვლისა.

მოგეხსენებათ, რომ მას უცხოელებთან დიდი წარმომადგენლობითი ფუნქცია გააჩნია. როდესაც შენ ასეთი ადამიანი გეყოლება უცხოეთში, როგორც წარმომადგენელი და შენი ქვეყნის ელჩი, ეს არის დიდი ბედნიერება და ძალიან სერიოზული ძალა.



***– ძალა ვისთვის, ოპოზიციისთვის?***

– სერიოზული ძალაა ოპოზიციისთვისაც, რომელსაც ექნება უკვე დასაყრდენი თავად პარლამენტში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრად უფრო სერიოზული ძვრები მოხდება მომავალში, საპარლამენტო არჩევნებამდე და თუ გრიგოლ ვაშაძე გახდება პრეზიდენტი, მთავარი ამოცანა იქნება ის, რომ შეიცვალოს საარჩევნო კანონი, გახდეს ის მაქსიმალურად ლიბერალური და როდესაც ოპოზიციას ექნება უფრო მეტი ბერკეტი, რომ გავლენა იქონიოს გაყალბების წინააღმდეგ, მივიღებთ მრავალპარტიულ პარლამენტს, ჭრელ და კოალიციურ მთავრობას და ეს არის უმნიშვნელოვანესი, როდესაც ერთი პარტიის დიქტატი არ იქნება.

აქამდე, ყველა ხელისუფლების დროს, ჩვენ გვქონდა ერთი პარტიის, ერთი პოლიტიკური ჯგუფის დიქტატი. ეს უნდა მოისპოს. პარლამენტი უნდა იყოს მრავალპარტიული და ხელისუფლება – კოალიციური.

***– ვისმენთ განცხადებას, რომ ვაშაძე შეიწყალებს მერაბიშვილს, სააკაშვილს, ახალაიებს და ჩვენ წინ შეიკრიბება ნაციონალური მოძრაობა ისევ ძველი სახით. ასე იქნება?***

– კარგით რა, რით ვერ დაიღალნენ ამდენი სისულელით. ჯერ ერთი, დავიწყოთ იმით, უნდა თუ არა ვანო მერაბიშვილს, რომ შეიწყალონ?! ბოლოს და ბოლოს, დარჩა 6 თვე! ადამიანი ევროპის სასამართლომ გაამართლა, ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ ის არის პოლიტიკური პატიმარი. ერთ ქვეყანაში არ მომხდარა შემთხვევა, რომ მე-18 მუხლით გამართლებული-ყოს სასამართლოში ადამიანი და ის არ გამოეშვათ ციხიდან. მას დარჩა 6 თვე და შეიწყალებენ თუ არ შეიწყალებენ, ის უბრალოდ გამოვა. და რომ გამოვა, რა? დაერევა ხალხს?! სასაცილო არ არის ამაზე ლაპარაკი?!

***– ახალაია?***

– ახალაიამ ძალიან მკვეთრი განცხადება გააკეთა, რომ ის არავითარ შეწყალებას არ მიიღებს. ის ძალიან ხისტი ადამიანია, ზოგს მოსწონს, ზოგს არ მოსწონს, მაგრამ ხისტი ტიპია. არა მგონია, რომ მან შეწყალება მიიღოს.

სააკაშვილს კი თავისი საქმეები და ინტერესები აქვს ჩვენი ქვეყნის გარეთ და არც ის აპირებს ჯერჯერობით აქ ჩამოსვლას.

დღეს მთავარია, რომ ახალი ლიდერები წამოვიდნენ წინა პლანზე. ეს არის გრიგოლ ვაშაძე, უპირველეს ყოვლისა, რომელიც კარგი იდეოლოგი და სერიოზული პიროვნებაა და ეს არის გიორგი ვაშაძე, რომელიც იდეების გენერატორია. მომავალში რეფორმების წამყვანი ფიგურა იქნება.

***– რას იტყვით ბიძინა ივანიშვილის ბოლო მიმართვაზე?***

– ერთი სიტყვით გეტყვით, შემებრალა.

***– რატომ? მოტყუებულია?***

– რას ამბობთ, მაგას ვინ მოატყუებს. შემებრალა იმიტომ, რომ თავის უჭკუობით აღმოჩნდა ისეთ დღეში, რომ ველარ მართავს ვერც სიტუაციას, ხედავს, რომ თავზე ენგრევა ეს ყველაფერი, მისი შექმნილი ხუხულა. მას ეგონა, რომ კორპორაცია და სახელმწიფო არის ერთი და იგივე! არა, ბატონო, ეს სულ სხვადასხვა სახით იმართება. კორპორაცია ზემოდან იმართება და სახელმწიფო – ქვემოდან!

აი, როდესაც ეს ავიწყდებათ, მერე ცუდად მიდის მათი საქმე. საბოლოოდ ყველაფერს წყვეტს საზოგადოების აზრი. ამას ამბობდა ერთმმართველი ნაპოლეონიც. ეს რომ დაავიწყდება ადამიანს, ის არის უბრალოდ სულელი! ამიტომაც შემებრალა.

შორენა მარსაგიშვილი

# ირაკლი ღარიბაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება

**მმართველ პარტიაში მძიმე მდგომარეობაა. საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ „ოცნებამ“ დასახმარებლად ძველ გვარდიას უხმო. იმედია, ამ მოწოდებას თენგიზ კიტოვანი პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგებს და ტანკით არ მიადგება პარტიის სათავო ოფისს.**

რაც შეეხება „ოცნების“ ძველ გვარდიას, მათგან პარტიის ოფისში პირველები ზურაბ ზვიადაური, ოლეგ იაძე და სხვა მოჭიდავეები მივიდნენ. სპორტსმენი ხალხია და, ბუნებრივია, სხვაზე უკეთ შეუძლიათ გადაადგილება, მანქანებიც საკმაოდ კარგი ჰყავთ.

„ოცნებაში“ მათი დაბრუნება გაუხარდათ, მაგრამ პარტიის დიდი ნაწილი მაინც ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნების მოლოდინშია. მისი დაბრუნება ყველა ლიდერს არ გაუხარდება. როგორც ამბობენ, ღარიბაშვილის დაბრუნება განსაკუთრებულად კახა კალაძესა და ირაკლი კობახიძეს არ სურთ, დანარჩენები კი, როგორც თავად ამბობენ, მოუთმენლად ელოდებიან ღარიბაშვილის დაბრუნებას.

„ოცნების“ ერთი ნაწილი კიდევ ერთი ექსპრემიერის დაბრუნებას ნატრობს. ამბობენ, რომ გიორგი კვირიკაშვილმა შეთავაზება უკვე მიიღო, მაგრამ მან დაბრუნებაზე უარი განაცხადა.

რაც შეეხება ღარიბაშვილს, მის დაბრუნებაში მმართველი პარტია თითქმის დარწმუნებულია.



– არაფერი არ არის გასაკვირი იმაში, თუ ირაკლი ღარიბაშვილი თავისი პირადი ინიციატივით იმოქმედებს და, ალბათ, ასეც იქნება. ღარიბაშვილი როდესაც გადადგა თანამდებობიდან, მან თქვა – „მე ვრჩები „ქართული ოცნების“ ჯარისკაცად“. თუ საჭიროდ ჩათვლის, ყველამ შესაძლებელია გააკეთოს ის, რაც მის რესურსში არსებობს. არაფერი არ არის გასაკვირი იმაში, თუ ირაკლი ღარიბაშვილი თავისი პირადი ინიციატივით იმოქმედებს და, ალბათ, ასეც იქნება, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში დეპუტატმა ნუკრი ქანთარიამ.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი კი ამბობს, რომ ძველ გვარდიაზე საუბრისას ბიძინა ივანიშვილი ცალკეულ გვარებს არ გულისხმობდა.

– დარწმუნებული ვარ, ძველ გვარდიაზე საუბრისას ბიძინა ივანიშვილი არ გულისხმობდა ცალკეულ გვარებს, არც ღარიბაშვილსა და არც კვირიკაშვილს, მაგრამ მჯერა, მათაც გულისხმობდა. ვგულისხმობ იმას, რომ მისი მიმართვა არ იყო მიმართული კონკრეტული ადამიანის მიმართ, კონკრეტულად ღარიბაშვილის ან კვირიკაშვილის მიმართ, ეს იყო მიმართვა ყველა იმ ადამიანისადმი, რომლებსაც ქვეყანაზე გული შესტკივათ, რომლებისთვისაც ძვირფასია ის ღირებულებები, რომლებიც ჩვენ მოვიტანეთ.

ვფიქრობთ, სამწუხაროდ, დღეს დადგა მომენტი, როდესაც საზოგადოება კვლავ უნდა გაერთიანდეს იმ ფასეულობების დასაცავად, რომლებიც 2012 წელს მოვიტანეთ თავისუფლების დასაცავად. მათ შორის იმისთვის, რომ დღეს არ გვეშინია აზრის გამოხატვის, არ გვეშინია, რომ ღიად დაფიქსირდეს პოზიცია მმართველი პარტიის ან ხელისუფლების წინააღმდეგ. ასე რომ, პირადად ჩემთვის ეს არის მთავარი მიღწევა, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში მოვიტანეთ. სწორედ „ქართული ოცნების“, ჩვენი ქმედებებისა და პოლიტიკის შედეგია, რომ დღეს დადგა დღე, როდესაც ხალხმა ღიად დააფიქსირა თავისი არჩევანი. სწორედ დღეს არის ის დღე, როდესაც ადამიანებს ვეუბნებით, რომ არჩევანი არ დგას ქალბატონ სალომესა და ბატონ ვაშაძეს შორის. არამედ ისევ დადგა მომენტი, როდესაც სიცრუეს – სიმართლე და ძალადობრივ რეჟიმს თავისუფლება უნდა დავუპირისპიროთ, ასევე – ის ღირებულებები, რომლებიც ჩვენ ყველამ ერთად, „ძველმა გვარდიამაც“ და იმ ადამიანებმაც, რომლებიც შეიძლება უცნობები იყვნენ, შემდგომ პერიოდში მოიტანეს ამ ქვეყანაში, – აღნიშნავს მედიასთან საუბარში მინისტრი.

როგორც ჩანს, „ოცნება“ მხოლოდ ძველი გვარდიის დაბრუნების იმედად არ არის.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის მურთაზ ზოდელავას თქმით, რეგიონებში „ოცნების“ მაღალჩინოსნები ცდილობენ, მოქალაქეებზე სხვადასხვა სახის ზეწოლა განახორციელონ.

– ყველა ეს მაღალჩინოსანი, ბოზოლა ქოცი თბილისიდან მიავლინეს კონკრეტული ამოცანისთვის და ეს ყველაფერი ზედაპირზეა. თქვენ შეგიძლიათ, ჩახვიდეთ რეგიონებში და ნახოთ, რამდენად მობილიზებულები არიან. შავი ჯიპი, თუკი რამე არსებობდა თბილისში, ყველა გაკრეფილია ახლა. ყველა არის რეგიონებში. ყველა ეს მაღალჩინოსნები ცდილობენ, რომ იქ ადამიანებს ან შიშით, ან სხვაგვარი ზეწოლით შეაცვლევინონ პოლიტიკური მრწამსი და ამას ჰქვია კონკრეტულად ეგზეკუცია და მაგონებს მეცხრამეტე საუკუნეს, – განაცხადა მურთაზ ზოდელავამ.

„ევროპული საქართველოს“ ლიდერი გიგა ბოკერია კი სამართალდამცავებს მოუწოდებს, არ შეასრულონ ხელისუფლების უკანონო ბრძანებები.

– ეს არის დამარცხებული ივანიშვილის გუნდის სასოწარკვეთილი ნაბიჯები, რომელიც ვერაფერს შეცვლის. ამიტომ მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მოვუწოდო ყველა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს, მათ, ვინც ემსახურება ჩვენს ქვეყანასა და კონსტიტუციას, უბრალოდ, დააიგნორონ მათი მითითებები, მათი ბრძანებებიც, უკანონო ბრძანებები. მშვიდად მივიყვანოთ ეს პროცესი ლოგიკურ ფინალამდე ივანიშვილის გუნდის საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხებამდე, მერე საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებამდე. იქამდე, უბრალოდ, სრული იგნორირება მათ უკანონო ბრძანებებსა და მითითებებზე. ეს იქნება ჩვენი მოწოდება, – აღნიშნა ბოკერიამ.

მისი თანაპარტიელი გივი თარგამაძე „ოცნებაში“ მიმდინარე პროცესებს სხვა თვალით უყურებს. მან ფეისბუქით ბიძინა ივანიშვილს მიმართა:

– გლუვო, რადგან 100 ქარხანა არა, მაგრამ ამდენი ფბ ბოტი დილიდან ააგუგუნე, აბაროტები რომ არ დაკარგონ, კიდევ უფრო აღფრთოვანდნენ, ბიძინას სამართალი ოჯახის წევრებსაც არ ინდობს და ყველა ჯურის დამნაშავეს გადასწვდებაო, ამისთვის:

ბერას ეჟედნევნიკი დაუჯღაბნე, ოღონდ, შიგ მილიარდდოლარიანი ჩაუკეცე, მართლა რომ არ ეწყინოს;

ძმებს ადიკოს და ალეკოს 20-20 შოლტი გადაარტყი, მაგრამ აბრეშუმის, ნაღდში რომ ესიამოვნოთ;

საყვარელი დეიდაშვილი 2 საათით ხალხმრავალ ადგილას დააყენე, ოღონდ სკაფანდრით, შეუჩვევლობისგან შოკში რომ არ ჩავარდეს;

კალას წითელი შარვალი, ტიგროვი ტუფლაკები გახადე, ხებე ჩააცვი, მარა დოლჩეგაბანასი, რომ არ გადაშენდეს;

ჩხარტიშვილს 4 პაჩკა სიგარეტი ძალით მოაწევინე, ოღონდ მენთოლიანი, რომ არ დაიხრჩოს;

პროკურორ ფხაკაძეს და პოლიციელ ფიფიას საჯაროდ დედა აგინე, ოღონდ ნიჩურტით, რომ იცოდნენ, შენი ძუძუები ლოცავენ;

კალანდია გუდიანით შეაშინე, ოღონდ დღისით, დაძინებამდე რომ შეძლონ ახსნა, სინამდვილეში არ არსებობსო.....

გრიგორიჩ, წააგე – წააგე, რაღას ცირკაჩობ? – წერს თარგამაძე.

# „კალაძეც და კობახიძეც სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურის წინააღმდეგი იყვნენ“

ნათია ხურცილავა

**ჯიპას პროფესორი, პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

## თორნიკე შარაშენიძე: „ივანიშვილი ძველ გვარდიაში გულისხმობს მოჭიდავეებს, მკლავჭიდელებს, მოკრივეებს, რომლებსაც ჩხუბი შეუძლიათ“





***– ბატონო თორნიკე, რა მოცემულობა გვაქვს, მეორე ტურში რაზე იქნება დამოკიდებული ან ოპოზიციური, ან სახელისუფლებო კანდიდატის გამარჯვება?***

– საბოლოო ჯამში, ყველაფერი ისევ სააკაშვილის ფაქტორამდე დადის. თუ ნეიტრალურ ამომრჩეველს სააკაშვილის ფაქტორით შეაშინებენ და არჩევნებზე ასე მოიყვანენ, მაშინ „ოცნება“ გაიმარჯვებს. თუ ამას ვერ მოახერხებენ, მაშინ გამარჯვება ძალიან გაუჭირდებათ, რაც უნდა ადმინისტრაციული რესურსი და გაყალბების მექანიზმი ჩართონ.

***– სააკაშვილის ფაქტორი ისევ იმუშავებს?***

– ფაქტია, სხვა ვერაფერი მოიფიქრეს. ძალიან ცოტა დროა დარჩენილი, მაგალითად, ლარის კურსი რომ გაამყარონ ან უმუშევრობა შეამცირონ. ეს ის პრობლემებია, რომლებიც ხელისუფლებას აქამდე უნდა მოეგვარებინა. ეს პრობლემები, სამწუხაროდ, დარჩენილ ორ წელიწადშიც შეიძლება ვერ მოაგვარონ. ამიტომ ერთ თვეში რა უნდა მოასწრონ, თუ არა ისევ „მიშა საფრთხობელას“ გათამაშება, რამაც იმუშავა საპარლამენტო არჩევნების წინაც. ახლაც ამის იმედი აქვთ.

თუ სააკაშვილი მოიქცევა ისე, რომ ხალხს მისი დაბრუნების შეეშინდება, მაშინ პოზიციებს შეინარჩუნებენ. თუ სააკაშვილი ჭკვიანურად მოიქცევა, მაშინ შანსი მეორე მხარეს არის. ვაშაძის გამარჯვების შემთხვევაში მე არ გამოვრიცხავ, რომ მაჟორიტარების დიდი ნაწილი მეორე მხარეს გადაბარგდეს, როგორც არაერთხელ მომხდარა და პარლამენტში ბალანსი ავტომატურად შეიცვალოს. ეს იქნება „ოცნებისთვის“ ყველაზე ცუდი სცენარი.

***– სააკაშვილის ქცევაში რას გულისხმობთ? ის მაინც დისტანცირებულია.***

– ახსოვთ რა მისი საქმეები, მისი ოდნავ გადაბრუნებული სიტყვაც კი მუქარად არის აღქმული. ეს აძლევს „ოცნებას“ ყველაზე კარგ შანსს, სხვა არაფერი რეალურად. არც რესურსი აქვთ და არც – პოლიტიკური ნება.

***– ივანიშვილი ძველ გვარდიას ეპატიჟება. გამოხმაურებები იქნება?***

– მე ვფიქრობდი, რომ ივანიშვილი ძველ გვარდიაში გულისხმობდა იმ ადამიანებს, რომლებიც 2012 წელს დაეხმარნენ. იმ ჭკვიან ადამიანებს, რომლებსაც შეეძლოთ, მისთვის სიმართლე ეთქვათ, მაგალითად, ხუხაშვილს, უსუფაშვილს, მარგველაშვილს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ძველ გვარდიაში გულისხმობს მოჭიდავეებს, მკლავჭიდელებს, მოკრივეებს, რომლებსაც ჩხუბი შეუძლიათ.

არ ვიცი, მოჩხუბრები რად უნდა. სიმართლე გითხრათ, საბოლოო ჯამში, ვერ გავიგე, მიმართვის ადრესატი ვინ იყო. როგორც ჩანს, სისტემური რეფორმისთვის მზად არ არიან და უკვე ძალიან გვიანია. ამასობაში ვნახეთ, ფარცხალაძე დაუჭერიათ და გამოუშვიათ კიდეც.

***– რესპუბლიკელების ღია მხარდაჭერას ვაშაძისადმი როგორ ხსნით?***

– როგორც ჩანს, რესპუბლიკელებმა ჩათვალეს, რომ „ოცნებას“ პერსპექტივა არა აქვს და რატომაც არა?! როგორც პოლიტიკური პარტიის მხრიდან, მათი გადაწყვეტილება სრულიად ლოგიკური და ახსნადია. დადგნენ იმ მხარეს, რომელზეც შეიძლება, გამარჯვების პერსპექტივა ჩანდეს.

***– რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, თუ ვინ გაიმარჯვებს მეორე ტურში ქვეყანაში პოლიტიკური მოზაიკის შესაცვლელად?***

– მე ვფიქრობ, უფრო მნიშვნელოვანი პირველი ტური იყო. პირველმა ტურმა გამოავლინა, რომ მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს „ქართული ოცნება“ აღარ უნდა. მეორე ტური როგორ დამთავრდება, მნიშვნელობა აღარ აქვს. მეორე ტურს სალომე ზურაბიშვილი წააგებს თუ მოიგებს, ამით „ოცნებისთვის“ სიტუაცია არ იცვლება. „ქართული ოცნებისთვის“ სიტუაცია ყველა შემთხვევაში მძიმე რჩება, თუ მუშაობას არ გამოასწორებენ, მაგრამ, როგორ უნდა გამოასწორონ ამ ინტელექტუალური რესურსებით, ეს ჩემთვის აუხსნელია. რის ხარჯზე შეძლებენ ამას?! აღმოჩნდა, რომ კვირიკაშვილის მთავრობა უკეთესი იყო, ლარის ასეთი საშინელი გაუფასურება მაინც არ იყო.

ივანიშვილი ახალგაზრდების მოყვანაზე საუბრობდა, დამატებით ვატო შაქარაშვილებს თუ მოიყვანენ, ეს მათ ნამდვილად არაფერს შესძენს.

***– ეს არჩევნები ხომ რეალურად არაფერს ცვლის, არ ცვლის პოლიტიკურ ძალთა ბალანსს პარლამენტში, ბიძინა ივანიშვილიც თავიდან ხომ იმ განწყობით იყო, დაე, წაიღოს ეს პოსტი ოპოზიციამ. მერე რა შეიცვალა, რატომ გახდა ეს პოსტი ყოფნა-არყოფნის საკითხი?***

– როდესაც ის ამბობდა, წაიღოს ოპოზიციამო, ჩვენ არ ვიცით, რომელ ოპოზიციაზე საუბრობდა. მე ეჭვი მაქვს, რომ ნაციონალურ მოძრაობას არ გულისხმობდა. როგორც ჩანს, იმ ოპოზიციას გულისხმობდა, რომელთანაც მარტივად დაალაგებდა ურთიერთობას.

მეორე, ამ განცხადების შემდეგ სერიოზული სკანდალები დაიწყო, რომელმაც „ქართული ოცნების“ პოზიციები შეარყია – ფარცხალაძის, ოქუაშვილის, სუბელიანის სკანდალი, თან უტიფრად გვეუბნებოდნენ, მეორე ტური არ იქნებაო. ამას მოჰყვა კიდევ უარესი შეცდომა, მეორე ტური აპოკალიფსად გამოაცხადეს. თუ მეორე ტურს წააგებენ, ეს უკვე მათთვის კატასტროფა იქნება, რადგან თვითონ აქციეს მეორე ტური სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლად. ეს მოცემულობა, ეს დაძაბულობა და ისტერია მათ შექმნეს.

მე „ოცნებას“ ვთავაზობ – პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავთ, შეკრიბონ პარლამენტი და პრეზიდენტის უფლებამოსილებები კიდევ უფრო შეამცირონ, შეწყალების უფლება ჩამოართვან. მერე სააკაშვილი ველარ ჩამოვა და რით შეაშინებენ ხალხს, საინტერესოა! თუმცა, რეალურად პირველი ტური ხომ რეფერენდუმი იყო! ხალხის მიერ გამოცხადებული უნდობლობა იყო ძალიან ძნელი, რასაც რატომღაც არ ელოდნენ.

***– ისე, გამორიცხავთ, რომ თუ ვაშაძემ გაიმარჯვა, პრეზიდენტს შეწყალების უფლება ჩამოართვან?***

– არა, არაფერს გამოვრიცხავ, მეტიც, დარწმუნებული ვარ, მეორე წუთში პარლამენტს შეკრებენ და პრეზიდენტს ამ უფლებას ჩამოართმევენ. თუმცა, ეს ხომ დამატებითი პრობლემა იქნება?! ყველაზე ლეგიტიმურ პოლიტიკოსს, რომელსაც ხალხმა ნდობა გამოუცხადა, ძალაუფლება შეუმცირონ.

მე ვფიქრობ, „ოცნებამ“ მაშინ წააგო, როდესაც სალომე ზურაბიშვილი კანდიდატად დაასახელა.

***– ეს კალაძემ აღიარა. გუნდში არსებული აშკარა დაპირისპირება რამდენად შეიტანს რყევებს?***

– ფაქტია, შეიტანა. მე ვიცოდი და არა მხოლოდ მე, რომ ეს განხეთქილება გუნდში იყო. კალაძეც და კობახიძეც ამ კანდიდატურის წინააღმდეგი იყვნენ. შემდეგ, მათდა საუბედუროდ, ამ კანდიდატის გაყვანა მათვე „შეეტენათ“, რაც, ბუნებრივია, არ ახარებთ.

როდესაც მსგავსი რაღაცები ხდება პოლიტიკურ გუნდში, იქ ნამდვილად არ არის ყველაფერი კარგად. ახლა, როდესაც სამარცხვინო და სასაცილო კამპანია მიმდინარეობს – „ვაშაძე კაგებეს აგენტი“, ესეც მიანიშნებს იმაზე, რამდენად აკლიათ ინტელექტუალური რესურსი, სხვა ყველაფერთან ერთად.

# გელა ნიკოლაიშვილი: „ფარცხალაძისთვის ბრალის წაყენება წინასაარჩევნო სვლაა“

## „ხელისუფლების მიმართ მთავარი პრეტენზიაა, რომ კუბლაშვილის დროინდელი მოსამართლეები და პროკურორები დატოვეს“

იაგო ნაცვლიშვილი

**ყოფილ მთავარ პროკურორს ყოფილი გენერალური აუდიტორის ლაშა თორდიას ცემის ფაქტზე ბრალი წარედგინა. აღნიშნული ცნობები მედიაში გავრცელდა, თუმცა ფაქტი პროკურატურას ამ დრომდე არ დაუდასტურებია. ფარცხალაძის მხარე კი ამბობს, რომ პროკურატურას ფარცხალაძის მიმართ ბრალის წარდგენის უფლება არ ჰქონდა და ბრალდებულ ფარცხალაძეს 5.000-ლარიანი გირაო შეეფარდა.**



„საგამოძიებო ორგანოს ბრალის წარდგენის საფუძველი არ ჰქონდა. ფაქტია, გიდასტურებთ, რომ თავს არ გრძნობს დამნაშავედ. ჩვენ მზად ვართ, სამართლიან სასამართლოში დავამტკიცოთ ბატონი ოთარის უდანაშაულობა. თქვენ იცით, რომ ჩვენ დილის საათებში დაკითხვაზე ვიყავით, დამატებითი დაკითხვა მოხდა, შემდგომ უკვე დღის მეორე ნახევარში მოხდა დაუსაბუთებელი ბრალის წარდგენა. გუშინ საღამოს გაიმართა საჯარო სხდომა სასამართლოში, აღკვეთის ღონისძიების სახეზე იმსჯელა სასამართლომ და ოთარ ფარცხალაძეს გირაო შეეფარდა. დაკავებული არ ყოფილა, სამართლებრივი საფუძველი დაკავების არ ჰქონდათ“, – განაცხადა ფარცხალაძის ადვოკატმა გაგი მოსიაშვილმა „კურიერთან“.

არის თუ არა ეს საქმე წინასაარჩევნო ხრიკი და გააქტიურდება თუ არა სამართლებრივი აღდგენის საკითხები? – ამ თემაზე „ახალ თაობასთან“ უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი საუბრობს:

***– ოთარ ფარცხალაძის ფაქტზე პროკურატურამ დაიწყო გამოძიება და მედია წერს, რომ ლაშა თორდიას ცემის ფაქტზე ბრალი წაუყენა მას. თქვენთვის ეს რას ნიშნავდა? ამდენი დრო სჭირდებოდა გამოძიებას თუ ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ დასჭირდა?***

– რა თქმა უნდა, ეს ხელისუფლების მხრიდან წინასაარჩევნო სვლაა, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ თქვა, ჩვენ დაშვებულ შეცდომებს გამოვასწორებთო. როგორც ჩანს, ერთ-ერთ შეცდომად ესეც აღიარეს.

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ამას ამდენი დრო სჭირდებოდა, მაგრამ სულ რომ არ წაეყენებინათ ბრალი, იმას სჯობს. ვიმეორებ, რა თქმა უნდა, ეს წინასაარჩევნო იძულებაა, მაგრამ, იმედია, მაინც. ადამიანი იძულებით რომ აკეთებს რაღაცას, რაც სწორი ნაბიჯია, ეს ნიშნავს, რომ ექვემდებარება იმ საზოგადოებრივ განწყობასა და სამართლიანობის მოთხოვნას, რომელიც არსებობს.

***– გაქვთ რწმენა, რომ ეს საქმე მივა ბოლომდე? თუ ისევ ის მოხდება, რაც ხშირად ხდება ხოლმე, არჩევნების შემდეგ ეს საქმეც ჩაიფარცხება და ისევ თაროზე შემოიდება?***

– არ არის გამორიცხული, ერთიც მოხდეს და მეორეც. არც ჩაიფარცხოს და არც ბოლომდე წავიდეს, თუმცა ხელისუფლების ინტერესებში უნდა იყოს, რომ ეს თემა თაროზე არ შემოიდოს, იმიტომ, რომ პოლიტიკური ცხოვრება ამ არჩევნებით არ მთავრდება. მთავარი არჩევნები 2020 წელს არის და, 2020 წლამდე რა ნაბიჯებს გადადგამს ეს ხელისუფლება, მომავალი შედეგი ამაზეა დამოკიდებული, რადგან მისივე ინტერესებშია, რომ ეს საქმე თაროზე არ შემოიდოს, აქედან გამომდინარე ვვარაუდობ, რომ არ შემოდებენ თაროზე.

***– ზოგადად რა შთაბეჭდილება გრჩებათ ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივ პროცესებთან დაკავშირებით? ხომ არ ფიქრობთ, რომ სამართლიანობის აღდგენის თემა კვლავ გააქტიურდება?***

– მე ვფიქრობ, რომ უნდა გააქტიურდეს. ესეც ხელისუფლების ინტერესებშია. მთავარი პრეტენზია არის ის, რომ მოსამართლეების 80%, თუ უფრო მეტი არა, იგივე დარჩა, პროკურორებისაც – თითქმის იმდენივე. ყოველ შემთხვევაში, 50%-ზე მეტი მაინც. ეს არის ძველი მეთოდებით მუშაობა. ეს არის მთავარი პრეტენზია და მთავარი კითხვა ხელისუფლებასთან.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# რისთვის ხსნიან ამერიკელები საქართველოში დემოკრატიის ცენტრს?

## რუსეთში მიიჩნევენ, რომ „ქართული ოცნების“ მზე ჩაესვენა

მარიამ მჭედლიშვილი

**ახლანდელი საპრეზიდენტო არჩევნები, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ნომინალური ფიგურა გახდა, იმაზე მეტი სიმძაფრით მიმდინარეობს, ვიდრე ამას ვინმე წარმოიდგენდა.**

ამის ერთ-ერთი მიზეზი გეოპოლიტიკური ფაქტორებია. აშშ-ის მხრიდან სამხრეთ კავკასიის მიმართ გაზრდილ ინტერესს ადასტურებს აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლის, ჯონ ბოლტონის ვიზიტი სამივე ქვეყანაში. გავლენების შენარ-



ჩუნებისთვის იბრძვის და აგრესიაზე უარს არ ამბობს რუსეთიც.

ამერიკელ პარტნიორებს მიაჩნიათ, რომ საქართველო ჯერ დასავლურ ორბიტაზე არ გადასულა.

– საქართველოს კურსი უნდა მდგომარეობდეს მცდელობაში, გახდეს დასავლეთის ნაწილი და არა დაბრუნდეს რუსულ კლეპტოკრატიაში, რუსეთის სისტემაში, – აცხადებს ამერიკელი პოლიტოლოგი ფრენსის ფუკუსიმა.

მისი თქმით, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ დაწყებული რეფორმები შეჩერდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ეს პროცესი განაგრძოს.

პოლიტოლოგი, ფილოსოფოსი ფრენსის ფუკუსიმა უხელმძღვანელებს დემოკრატიის ცენტრს, რომელიც თბილისში იქმნება. მისი ერთ-ერთი მიმართულება რეგიონში ავტოკრატიისა და კორუფციის წინააღმდეგ მუშაობაა.

ვაშინგტონი დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის გადემოკრატიულებით. ექსპერტების შეფასებით, პრობლემები ყველგანაა, ამასთან, თბილისში, ერევანსა და ბაქოში ერთმანეთისაგან განსხვავებული ვითარებაა. ევროატლანტიკური გეზი სხვებზე მეტად საქართველოს აქვს აღებული, სომხეთი ჯერ ევრაზიული თანამეგობრობისაკენ იხრება, აზერბაიჯანი კი ყველაზე მეტად თურქეთთან არის დაახლოებული.

არსებობს მოლოდინი, რომ ნიკოლ პაშინიანის მმართველობა ბიძგს მისცემს დემოკრატიულ განვითარებას. ამისათვის ერევანმა უნდა გაწყვიტოს მჭიდრო კავშირი მოსკოვთან. თბილისი და ერევანი შესაძლოა გახდნენ დემოკრატიის საყრდენი, ბაქო კი, როგორც ნედლეულის მომპოვებელი, მოსკოვთან უფრო მეტ საერთოს გამონახავს.

ამერიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ირანის დასუსტებაა. ეს მიზანი კავკასიას უშუალოდ ეხება. ახალი მონაცემებით, დღის წესრიგში დგას სომხეთ-ირანის საზღვრის ჩაკეტვის საკითხი. ეს შეაჩერებს სომხეთ-ირანის ერთობლივ ეკონომიკურ პროექტებს. ამასთან, გააქტიურდება სომხეთ-თურქეთის საზღვრის დებლოკადა და ერევანსა და ანკარას შორის კონტაქტების დამყარება.

ამ სიტუაციაში აშშ-ს არ აწყობს დესტაბილიზაცია საქართველოში. ამასთან, ამერიკული წრეები სულ უფრო მეტ მინიშნებას აკეთებენ იმაზე, რომ საქართველოში დემოკრატიის მხრივ პრობლემებია და დიდია რუსეთის გავლენა. ისინი უნდობლად ეკიდებიან როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე ნაცმოძრაობის სხვადასხვა ფრთას.

ივანიშვილის მიერ დაფუძნებული პარტიის მზის ჩასვენებაზე საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ალაპარაკდნენ რუსი პოლიტოლოგები. მათი აზრით, საქართველოში ისეთივე კრიზისი შეიქმნა, როგორიც შევარდნაძის მმართველობის ბოლოს არსებობდა, ასევე, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, 2012 წლისთვის ჩამოყალიბდა. რუსეთში თვლიან, რომ „ქართულ ოცნებას“ მომავალი არ უწერია. ქართულ პოლიტიკაში კი მთავარ მოთამაშეებად ამ ეტაპზე სააკაშვილი და ბურჯანაძე რჩებიან.

დიდი ალბათობით, ამერიკელები ფსონს სხვებზე დადებენ, ქვეყანაში კი პოლიტიკური დაძაბულობა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგაც გაგრძელდება.

# დავით ლორთქიფანიძე: „რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობას ვერ ვხედავ“

გულიკო ბალაძე

**„ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ ბიძინა ივანიშვილის ბოლო განცხადებასა და პოლიტიკურ პროცესებს აფასებს.**

***– ბატონო დავით, ბიძინა ივანიშვილის ბოლო განცხადებას როგორ აფასებთ?***

– ბიძინა ივანიშვილის განცხადება არსებული მდგომარეობის რეალური შეფასება იყო, განსაკუთრებით – პარტიასთან დაკავშირებით. მართლაც საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლისთვის ერთად დგომა და გარკვეული ქმედებების განხორციელება. მან ხაზი გაუსვა 2012 წლის დროინდელი „ოცნების“ მხარდამჭერების გაერთიანებას. ეს სერიოზული მესიჯი და სიგნალია. ამ განცხადების შემდეგ ბევრი შემოგვიერთდება და ქვეყნის ნორმალური განვითარებისა და სტაბილურობისთვის საჭირო შედეგს დავდებთ.

***– ბიძინა ივანიშვილმა არსებულ ვითარებაზე სრულყოფილი ინფორმაცია მიიღო? თქვენ ამგვარი შთაბეჭდილება დაგრჩათ?***

– დიახ, როგორც იტყვიან, ჩემს გულში იჯდა. არსებული რეალობა კარგად არის დანახული. ამაზე ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე თვის წინაც ისაუბრა, მაგრამ არჩევნების შედეგებმა ეს პროცესი კიდევ უფრო გაამძაფრა. ამიტომ თქვა, რომ 1 წლის განმავლობაში აღმოფხვრის იმ პრობლემებს, რომლებიც დაგროვდა ქვეყანაში.

ყველა პრობლემა მოკლე ვადაში ვერ გადაიჭრება, მაგრამ მართვისა და საკადრო მიმართულებით პრობლემები მოკლე ვადაში უნდა გადაიჭრას. კეთილსინდისიერი და პროფესიონალი კადრები უკეთესად აკეთებენ საქმეს. რიგ შემთხვევაში ბევრი ჩვენი გაკეთებული საქმე არ ჩანს, რადგან მოსახლეობას ამის თაობაზე სრული ინფორმაცია არ აქვს. კადრებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჩვენს ქვეყანაში კადრების დეფიციტი არ არის.

***– ბიძინა ივანიშვილმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ პოლიტიკური სპექტრი ღარიბია და რეალურად კეთილსინდისიერი და პროფესიონალი კადრების პრობლემაა. თუმცა, ბატონ ბიძინას არ ვეთანხმები, რადგან ჩემ ირგვლივაც ბევრ კეთილსინდისიერ და პროფესიონალ ადამიანს ვხედავ, რომელთა პოტენციალს სახელმწიფო არ იყენებს.***

– კადრების პრობლემა არ არის, კადრების მოძიების პრობლემაა. გამოცდილი და კომპეტენტური ადამიანები უნდა იქნენ შემოკრებილი. აქცენტი იმაზე, რომ მხოლოდ ახალი სახეები უნდა გამოჩნდნენ და მხოლოდ ახალგაზრდები უნდა შემოვიდნენ, ძალიან სწორია. ახალგაზრდებსაც უნდა ჰქონდეთ გამოჩენისა და დაწინაურების საშუალება, თუმცა, ქვეყანაში არ უნდა შეიქმნას ადამიანების ჯგუფი, რომელიც თავს ჩარეცხილად იგრძნობს. ყველა კეთილსინდისიერი და პროფესიონალი ადამიანი სახელმწიფოს მართვისკენ უნდა შემოვაბრუნოთ. უნდა მოიძებნოს ისეთი კადრები, რომელთა წესიერებასა და კეთილსინდისიერებაში ეჭვს ვერავინ შეიტანს.

***– ახლა თვითონ პარტიაში განახლების პროცესი მიმდინარეობს? პარტიაში ახალ წევრებს იღებთ?***

– არჩევნების პერიოდში ეგ პროცესი ფიზიკურად შეფერხებულია. არჩევნების შემდეგ ბევრი რამ შეიცვლება. ბიძინა ივანიშვილის ბოლო განცხადების შემდეგ პოლიტსაბჭოს წევრმა გია ვოლსკიმ ნიშანდობლივი რამ თქვა – სამწუხაროდ, ბოლო არჩევნების შემდგომ პოლიტიკური ველიდან პარტია თითქმის დაიკარგა. პარტიის საქმიანობა სათანადო ხარისხით არ ხორციელდებოდა.

პარტიის სტრუქტურები, პარტიული ვერტიკალი მოშლილია. ამას ამბობს პარტიის პოლიტსაბჭოს წევრი. ამიტომ პარტიაში ბევრი რამ არის შესაცვლელი. არჩევნების შემდეგ პარტიაში მოხდება განახლება ისე, როგორც მმართველ პოლიტიკურ ძალას შეეფერება.

***– ვერის პარკში საზოგადოების ერთი ნაწილის შეკრებაზე დაგინახეთ. აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ პოლიტიკოსები იქ არ მისულიყვნენ. თქვენ მაინც მიხვედით. რატომ?***

– მაშინ, როდესაც საქმე ეხება ძალიან მნიშვნელოვან პოლიტიკურ აქტს, როგორიცაა საპრეზიდენტო არჩევნები, პროცესი თავიდან ბოლომდე პოლიტიკურია. პოლიტიკოსები ყველგან უნდა მივიდნენ., რა თქმა უნდა, ვისაც მიესვლება. პოლიტიკოსებს ძალიან სერიოზული დატვირთვა აქვთ. ჩვენ ერთად ვიდექით 2012 წელს რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

***– რატომ გახდა საჭირო ხალხის ვერის ბაღში შეკრება?***

– სამწუხაროდ, არჩევნების შედეგი ჩვენი პოლიტიკური გუნდისთვის არასახარბიელოა. ამიტომ რაც შეიძლება მალე უნდა გამოფხიზლდეს საზოგადოება.

***– საზოგადოება უნდა გამოფხიზლდეს თუ ხელისუფლება?***

– ხელისუფლება თავისთავად უნდა ფხიზლობდეს. საზოგადოება და ხელისუფლება ფხიზლად უნდა იყვნენ, რომ არც ერთი ადამიანი, რომლებიც ნაცრეჟიმის მოწინააღმდეგენი არიან, სახლში არ დარჩნენ, თავიანთი მისია შეასრულონ, ხმა მისცენ ნაცრეჟიმის წინააღმდეგ.

***– საზოგადოებაში ხელისუფლების გარეშეც გარკვეული მოძრაობები შეინიშნება.***

– ეგ კარგია, საზოგადოებაში შეინიშნება გამოცოცხლება, რადგან აქ საუბარი არ არის პრეზიდენტის სკამის დაკარგვაზე ან მიღებაზე. ჩვენ შეიძლება სამშობლოს დაკარგვის საფრთხის წინაშე დავდგეთ.

***– ხელისუფლების დაკარგვის საფრთხეა?***

– დიახ, იმ გაგებით, რომ პრეზიდენტად შეიძლება მოვიდეს ის ძალა, რომელმაც ბოროტება გაუკეთოს თავის ქვეყანას. ჩვენ უნდა გავიხსენოთ 7 ნოემბერი, 26 მაისი და ყველა ის საზოგადოებრივი აქტივობა, რომლებიც იყო რეაქცია რეჟიმის ქმედებაზე.

***– საზოგადოების გააქტიურების პარალელურად, გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების ურთიერთმიგრაცია ხდება. ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ რესპუბლიკური პარტია საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ნაციონალური მოძრაობის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს დაუჭერს მხარს. ამაზე რას იტყვით?***

– მათ, ვინც მრავალი წელია, ქართულ პოლიტიკაში ვართ და ჯანსაღ პოზიციაზე ვდგავართ, ეჭვი არასოდეს შეგვპარვია, რომ ის კონგლომერატი, რომელიც ნაცმოძრაობის ირგვლივ იკრიბება, სიტუაციიდან გამომდინარე, ცალ-ცალკე იყო, დღეს დასჭირდათ და ერთად იკრიბებიან.

***– ეს ბაქრაძისა და ჯაფარიძის ჯგუფზე შეიძლება ითქვას, მაგრამ რესპუბლიკელები? ისინი ხომ 2012 წელს თქვენი კოალიციის წევრები იყვნენ.***

– რესპუბლიკელები თავიდან ნაცმოძრაობასთან იყვნენ, შემდეგ წამოვიდნენ. რესპუბლიკელებთან აღარ არიან უსუფაშვილი და ხიდაშელი. ის ნაწილი, რომელიც იყო ნაციონალური სულისკვეთების, მივიდა ნაციონალებთან.

***– უსუფაშვილის განცხადებით, პოლიტიკური ჯგუფების გადაწყობ-გადმოწყობა ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის ნიშანია და ხელისუფლების ცვლილება მომწიფდა.***

– დათო საკმაოდ გამოცდილი პოლიტიკოსია და მის პოზიციას არსებობის უფლება აქვს, თუმცა, მის მოსაზრებას ვერ გავიზიარებ.



***– რატომ?***

– ცალსახად იმის თქმა, რომ დღეს ქვეყანაში იმ დონის პოლიტიკური კრიზისია, რომ მისი განმუხტვის ერთადერთი საშუალება საპარლამენტო არჩევნებია, არ არის გასაზიარებელი. მართალია, ქვეყანაში ბევრი რამ არის შესაცვლელი ისე, რომ საზოგადოებას არ დარჩეს შთაბეჭდილება, ის პროცესების მიღმა რჩება. თუ საზოგადოებას დარჩება შთაბეჭდილება, რომ ის პროცესების მიღმა რჩება, მაშინ ეს რიგგარეშე არჩევნების საკითხი წამოიწევს. მე და ჩემი კოლეგები არასოდეს ვყოფილვართ პროცესების მიღმა.

***– თავის დროზე თქვენი კანდიდატურა სხვადასხვა თანამდებობაზე განიხილებოდა – დეპუტატად, გუბერნატორად, მაგრამ სხვა კანდიდატურა გაუშვეს.***

– ეგ ჩავლილი ამბავია. მე შემიძლია ჩემს თავზე ვთქვა, რომ პოლიტიკური აქტივობის გარეშე ერთი დღეც არ ვყოფილვარ. საგაზეთო ინტერვიუებს, საჯარო გამოსვლებს თავს არასოდეს ვარიდებდი.

***– თუმცა, არიან ისეთები, ვინც იმალებოდა, ვინც ჟურნალისტებს თავს არიდებდა.***

– გარკვეული უხერხულობა არის, მაგრამ, ვფიქრობ, დღეს ყველა მობილიზებული უნდა ვიყოთ. აქ პრეზიდენტის სავარძელზე კი არა, ქვეყნის ბედზეა საუბარი. დავფიქრდეთ, ვის ხელში შეიძლება აღმოვჩნდეთ. პრეზიდენტის სახით გვეყოლება პირდაპირი წესით არჩეული ადამიანი, რომელსაც შეუძლია, საქართველოს სახელით ილაპარაკოს. ამიტომ პრეზიდენტის თანამდებობა მნიშვნელოვანია და ამ თანამდებობის ოპოზიციის ხელში ჩაგდება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია.

***– ნაციონალების კანდიდატი აცხადებს, რომ შეიწყალებს სააკაშვილსა და სხვებს. თუმცა, ისინი აცხადებენ, რომ შესაწყალებელი არაფერი სჭირთ. მათი რეაბილიტაცია მოხდა?***

– სააკაშვილისა და მისი გუნდის რეაბილიტაცია არ მომხდარა. მათი განცხადებებიდან ჩანს მათი საშიში ბუნება. ისინი დღესაც იმავე პოზიციაზე დგანან. ჩადენილის გამო ნაცების მხრიდან სინანული საზოგადოებას არ გაუგია. იმედი მაქვს, ეს ბერკეტი ვაშაძის ხელში არ აღმოჩნდება.

***– ზოგიერთი პოლიტიკოსი აცხადებს, რომ საქმეს რიგგარეშე არჩევნები გამოასწორებს.***

– რიგგარეშე არჩევნები დემოკრატიასთან წინააღმდეგობაში არ მოდის. დემოკრატიის ქვეყნებში მმართველ პოლიტიკურ ძალას წელიწადში რამდენიმე არჩევნებიც კი ჩაუტარებია. ამაში ვერანაირ საშიშროებას ვერ ვხედავ, მაგრამ დღეს ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად არ არის ისეთი პოლიტიკური კრიზისი, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების არავითარი აუცილებლობა არ არის.

# გელა ნიკოლაიშვილი: „ფარცხალაძისთვის ბრალის წაყენება წინასაარჩევნო სვლაა“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***– ანუ სისტემური ცვლილებები არ მომხდარა, რასაც საზოგადოების დიდი ნაწილი ელოდებოდა?***

– იმ დოზით არ მომხდარა რა მოთხოვნაც საზოგადოებაში იყო.

***– ეს რომ მოხდეს, აუცილებელია, რომ მოსამართლეებისა და პროკურორების დიდი ნაწილი შეიცვალოს, თუ დაწინაურებული მოსამართლეები მურუსიძე, ჩინჩალაძე და ა.შ. არ უნდა იყვნენ სასამართლოს სათავეში?***

– არა მხოლოდ სათავეში არ უნდა იყვნენ ეს პირები, არამედ ზოგადად სისტემაა გასაჯანსაღებელი. ერთი და ორი მოსამართლე არ არის ყველაფერი. უბრალოდ, აქ ლაპარაკია იმაზე, რა ფორმით შეიძლება შეიცვალონ ისინი. პირდაპირ ხელი მოუსვა და სახლში გაუშვა ან აიძულო შანტაჟის გზით, ასე არ გამოვა.

რაღაცა კანონიერი ფორმები უნდა იყოს ამისთვის გამონახული. ერთ-ერთი კანონიერი ფორმაა იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტების ახალი წესი, სადაც არ იქნება ძველი, კუბლაშვილის დროინდელი არჩეული წევრები, რომლებიც შემდეგ თვითონ ნიშნავენ სხვა მოსამართლეებს.

***– რაც შეეხება ამ ხელისუფლების დროს გახმაურებულ საქმეებს, მაგალითად, როგორიცაა ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვნების მკვლელობა. ამ მიმართულებითაც ხომ არ უნდა აღიაროს შეცდომა ხელისუფლებამ? როგორია თქვენი პოზიცია?***

– ამ საქმის დეტალები არ ვიცი, მაგრამ, რამდენადაც ამ საქმეს ვიცნობ, 9 თუ 10 ადამიანი პასუხისგებაშია მიცემული. მათგან უმრავლესობა პატიმრობაში იმყოფება. თუ იმაზე საუბრობთ, რომ არის ერთი ადამიანი, რომელზეც ლაპარაკია, რომ მაინცდამაინც მიხეილ კალანდიას დარტყმის შედეგად არის გარდაცვლილი დავით სარალიძე, ამას დამტკიცება უნდა. თუ ეს არ მტკიცდება, მას ვერ მისცემენ პასუხისგებაში. ის, რომ მე ასე მჯერა, მამა ასე ამბობს და ა.შ. ეს მე გამართლებულად არ მიმაჩნია. თუ ამის მტკიცებულებები იქნება, ეს სხვა საკითხია.

# 1 ლიტრი 2.70–2.72 ლარი — საქართველოში საწვავი კიდევ გაძვირდა



ბოლო დღეების განმავლობაში საწვავი კვლავ გაძვირდა. ფასის მატება ფაქტობრივად ყველა ბრენდირებულ სადგურს შეეხო.

ფასები 2-7 თეთრით არის დაკორექტირებული.

ოქტომბრის ბოლოს რამდენჯერმე მოიმატა ფასებმა „გალფის" ავტოგასამართ სადგურებზე. თუმცა, ფასების შედარება შეგვიძლია წინა თვის მონაცემთანაც.

კერძოდ, 6 ნოემბრის მდგომარეობით, 1 ლიტრი „ჯი-ფორს პრემიუმის" ფასი 2.59 ლარია, მაშინ, როცა 11 ოქტომბრის მდგომარეობით, მისი ფასი 2.57 ლარი იყო; 11 ოქტომბერთან შედარებით, 2 თეთრით არის გაძვირებული „ჯი-ფორს ევრო რეგულარი" და 2.49 ლარი ღირს; 1 ლიტრი „რეგულარის" ფასი 2.41 ლარიდან 2.43 ლარამდე გაიზარდა; ხოლო „სუპერის" ფასი 2.69 ლარია, მაშინ როცა, 11 ოქტომბრის მდგომარეობით, 2.63 ლარი ღირდა.

რაც შეეხება დიზელს და ევრო დიზელს, მათი ფასი 5-5 თეთრით არ გაზრდილი და, შესაბამისად, 2.59 და 2.67 ლარი ღირს.

„ვისოლის" ავტოგასამართ სადგურებზე „დიზელ ენერჯის" ფასი 2.60 ლარს შეადგენს, მაშინ როცა, 11 ოქტომბრის მდგომარეობით, 2.56 ლარი იყო; „ეკო დიზელის" ტიპის საწვავის ფასი ასევე 4 თეთრით არის გაზრდილი და 2.70 ლარია.

4-4 თეთრით გაძვირდა „ეკოპრემიუმი" და „ევრო რეგულარი" და დღეის მდგომარეობით, 2.64 და 2.56 ლარი ღირს; „ეკო სუპერის " ფასმა კი 3 თეთრით მოიმატა და 2.71 ლარი ღირს.

„ლუკოილის" ავტოგასამართ სადგურებზე 4 თეთრით არის გაძვირებული „პრემიუმ ავანგარდი" და 2.53 ლარი ღირს, „ევრო რეგულარი" 2.39 ლარი ღირს, მაშინ როცა 5 ნოემბრის მდგომარეობით, მისი ფასი 2.36 ლარი იყო; ასევე 3 თეთრით არის გაძვირებული ევრო დიზელის ტიპის საწვავი და 2.55 ლარი ღირს, „ევრო სუპერის" ტიპის საწვავი კი 2.63 ლარია, მაშინ როცა 5 ნოემბერს მისი ფასი 2.59 ლარი იყო.

ფასები გაზრდილია „სოკარის" ავტოგასამართ სადგურებზეც.

6 ნოემბრის მდგომარეობით, 1 ლიტრი „პრემიუმის" ფასი 2.60 ლარია, მაშინ როცა, 1 ნოემბრის მდგომარეობით, მისი ღირებულება 2.57 ლარი იყო; 3-3 თეთრით არის გაძვირებული 1 ლიტრი „რეგულარის", სუპერისა და ევრო დიზელის ტიპის საწვავი. კერძოდ, „რეგულარი" – 2.50; სუპერი – 2.70; ევრო დიზელი კი 2.65 ლარი ღირს. რაც შეეხება დიზელს, მისი ფასი 1 ნოემბრიდან არ შეცვლილა და დღესაც, 2.52 ლარი ღირს.

„რომპეტროლის" ავტოგასამართ სადგურებზე „ეეფიქს ევრო დიზელის" ფასი, 6 ნოემბრის მდგომარეობით, 2.66 ლარია, მაშინ როცა, 11 ოქტომბრის მდგომარეობით 2.60 ლარი იყო; 1 ლიტრი ევრო დიზელი კი 6 თეთრით გაძვირდა და 2.60 ლარი ღირს.

„ევრო პრემიუმი" 4 თეთრით არის გაძვირებული – 2.64 ლარი; „ევრო რეგულარის" ტიპის საწვავი 2.56 ლარია; მაშინ როცა, 11 ოქტომბრის მდგომარეობით მისი ღირებულება 2.50 ლარი იყო; ხოლო „სუპერის" ტიპის საწვავი 11 ოქტომბრიდან 4 თეთრით გაძვირდა და 2.72 ლარი ღირს.

# ყველა შეჩერებული მშენებლობა იდენტიფიცირებულია



თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსის თემურ ბოლოთაშვილის ინფორმაციით, თბილისის მერია უახლოეს პერიოდში გაასაჯაროებს კანონპროექტს, რომელიც დედაქალაქში შეჩერებული მშენებლობების პრობლემების გადაწყვეტას შეეხება.

როგორც ბოლოთაშვილმა ბიემჯის განუცხადა, შეჩერებული ობიექტების დასასრულებლად, რიგ შემთხვევაში კომპანიებმა, შესაძლოა, გარკვეული შეღავათები მიიღონ.

– ყველა ის შეჩერებული მშენებლობა დაიდენტიფიცირდა, რომელიც ქალაქში გვაქვს, შესაბამისი პრობლემური საკითხებიც დაიდენტიფიცირდა, თუ რა გზები არსებობს იმისთვის, რომ შენობა-ნაგებობები დასრულდეს.

რამდენიმე ერთეულ შემთხვევაში მოხდა გადაწყვეტილებების მიღება და კონკრეტული მშენებლობების დახმარება იმ კუთხით, რა კუთხითაც კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა საჭირო არ იყო, – განაცხადა ბოლოთაშვილმა.

რაც შეეხება შეჩერებული მშენებლობების ერთ ნაწილს, არქიტექტურის სამსახურის უფროსის განმარტებით, მათი დასრულებისთვის საჭიროა კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც ამ ეტაპზე თბილისის მერიაში განხილვის ეტაპზეა.

– რაღაც შემთხვევებში შეიძლება, გარკვეულ პრეფერენციებზე იყოს საუბარი, რაღაც შემთხვევაში – დამატებითი მოცულობების მიცემაზე, თუმცა, არამხოლოდ. რამდენიმე სახის პრობლემა არის და მათი გადაწყვეტის ერთიანი გზა, ერთიანი წამალი არ არსებობს, – აღნიშნა მან.

# „ყაზტრანსგაზ თბილისის" ახალ დირექტორად თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელი დაინიშნა

## რა ქონებას ფლობს მამუკა კობახიძე



შპს „ყაზტრანსგაზ თბილისს" გენერალური დირექტორი შეეცვალა. ცვლილება მეწარმეთა რეესტრში უკვე აისახა.

კერძოდ, რეესტრის 5 ნოემბრის ამონაწერით, კომპანიის გენერალური დირექტორი მამუკა კობახიძე გახდა, რომელიც თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გენერალური დირექტორის პოსტზე მუშაობდა. კომპანიაში სპეციალურ მმართველად კვლავ რჩება გიგლა თამაზაშვილი.

გასულ თვეში „ყაზტრანსგაზ თბილისს" მფლობელიც შეეცვალა. კერძოდ, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი მარშალის კუნძულებზე რეგისტრირებული შპს „ვოლთბეი" გახდა. ამასთან, გასულ თვეში მფლობელის ცვლილების შემდეგ კომპანიის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭიაურელი დაინიშნა, რომელსაც 2017 წლის მაისის ჩათვლით „კავკასუს ონლაინის" დირექტორის თანამდებობა ეკავა.

„ბიზნესპრესნიუსი" დაინტერესდა, თუ როგორია მამუკა კობახიძის ქონებრივი მდგომარეობა.

2018 წლის 27 მარტს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მამუკა კობახიძის შემოსავალი სატრანსპორტო კომპანიის დირექტორის პოსტზე 2017 წლის 21 ნოემბრიდან 31 დეკემბრის პერიოდში 13.333,33 ლარი იყო.

დეკლარაციის მიხედვით, კობახიძე ფლობს 44,33 კვადრატული მეტრისა და 100,7 კვ. მეტრი ფართობის ორ ბინას თბილისში. დეკლარაციის შევსების მომენტში მასვე სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე 533,72 ლარი, 10.177,7 დოლარი, 9.003,09 ლარი, 600,2 დოლარი და 38 ლარი ჰქონდა.

კობახიძე „სატრანსპორტო კომპანიის" გენერალურ დირექტორობამდე შპს „ყაზტრანსგაზ თბილისის" მმართველად და „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორად მუშაობდა, სადაც შესაბამისად, 167.377,38 ლარისა და 166.988,1 ლარის შემოსავალი აქვს მიღებული. ამასთან, მისმა გასავალმა წინა წელს ქველმოქმედების სახით 6.000 ლარი შეადგინა.

მამუკა კობახიძეს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მისი მეუღლე ფლობს მსუბუქ ავტომობილს, ტოიოტას, რომელიც 2017 წელს 55.000 ლარად შეიძინა. მასვე საბანკო ანგარიშებზე 14.096,14 ლარი, 5.500 დოლარი და 1.772 ლარი ჰქონდა. დეკლარაციის შევსების მომენტში კობახიძის მეუღლე იყო ასევე შპს გონგის 30%-იანი წილის მფლობელი, რომლის საქმიანობითაც მისმა შემოსავალმა 35.583,4 ლარი შეადგინა.

თამარ ეპიტაშვილი სს „საქრუსენერგოში" მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე მუშაობს, სადაც მისი შემოსავალი 2017 წლის 3 აპრილიდან 2017 წლის 31 დეკემბრის პერიოდში 15.652,78 ლარი იყო.

ქონებრივი დეკლარაციის შევსების მომენტში მამუკა კობახიძის შვილებს სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე 4.345,73 ევრო და 4.346,16 ევრო ჰქონდათ.

# სანდრო ონოფრიშვილი მთის კურორტების განვითარების კომპანიას აღარ უხელმძღვანელებს



მთის კურორტების განვითარების კომპანიაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა.

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრ გიორგი ქობულიას გადაწყვეტილებით, სანდრო ონოფრიშვილი მთის კურორტების განვითარების კომპანიას აღარ უხელმძღვანელებს.

აღნიშნული ინფორმაცია სააგენტოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრესსამსახურშიც დაუდასტურეს.

მთის კურორტების განვითარების კომპანიის დირექტორის პოსტს დაიკავებს თამაზ გამცემლიძე, რომელიც აქამდე ამავე კომპანიაში ბაკურიანის მთის მართვის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა; თავად სანდრო ონოფრიშვილი კი მინისტრის მრჩევლის პოზიციაზე გადავა.

ბიემჯი კომენტარისთვის სანდრო ონოფრიშვილს დაუკავშირდა.

ის ამბობს, რომ პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა და საქმიანობას სამთო საკითხებში მინისტრ გიორგი ქობულიას მრჩევლის პოზიციაზე გააგრძელებს.

სანდრო ონოფრიშვილს მთის კურორტების განვითარების დირექტორის პოსტი 2013 წლიდან ეკავა.

ცნობისთვის: ზამთრის საკურორტო სეზონი წელს 8 დეკემბერს ბაკურიანში და გოდერძიზე გაიხსნება. 15 დეკემბერს – გუდაურში, 22 დეკემბერს კი – მესტიასა და კოხტა-მიტარბიზე.

ამის შესახებ სანდრო ონოფრიშვილმა რამდენიმე კვირის წინ „საქმიანი დილის" ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, წელს სეზონის გახსნას განსაკუთრებული სიახლეებით ხვდება გუდაური, სადაც 20 დეკემბრამდე 6 ახალი საბაგირო დაიწყებს ფუნქციონირებას, რაც გამტარუნარიანობას 3.5-ჯერ გაზრდის. გარდა ამისა, 20%-ით იზრდება სასრიალო არეალი.

– ახალი საბაგიროები დეკემბრის დასაწყისში სატესტო რეჟიმში გადავა. სრულ მზადყოფნაში კი ნაწილი 15 დეკემბრისთვის და ნაწილი – 20-თვის იქნება. კობი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელსაც ინფრასტრუქტურის სამინისტრო აშენებს და მისი სიგრძე 7.5მ-ია. ასევე წყლის ხელოვნური რეზერვუარები, რომელსაც გაერთიანებული წყლის კომპანია აფინანსებს. ასევე გუდაურთან მიმართებით აღსანიშნავია ახალი სათხილამურო არეალიც, რომელიც 20%-ით ზრდის გუდაურში სასრიალო ტრასებს.

წლევანდელი სეზონის განმავლობაში ასევე გვექნება შესაძლებლობა, გათოვლიანების სისტემის მეორე ფაზის შედეგიც ვნახოთ. წელსვე მთლიანად იცვლება ელექტროსისტემა მთელს მთაზე ყველა იმ ობიექტთან, რომელიც არსებობს, რაც ერთიორად გააუმჯობესებს ხარისხს.

თვითონ საბაგიროების გამტარუნარიანობა 3.5-ჯერ იზრდება, რაც რიგის პრობლემას მოხსნის.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურორტი ახალ ხარისხში გადადის და ის 30 წლის იუბილესთან დაკავშირებით გრანდიოზულად, თუ ამინდმა ამის შესაძლებლობა მოგვცა, 15 დეკემბერს გაიხსნება, – განაცხადა სანდრო ონოფრიშვილმა.

რაც შეეხება უსაფრთხოებას, ონოფრიშვილის ინფორმაციით, ყველა საბაგირო შემოწმებულია და არანაირი ტიპის ხარვეზი არ არსებობს. აღსანიშნავია ისიც, რომ წელს უცხოელი ექსპერტების მიერ საბაგიროს 170 თანამშრომელი გადამზადდა.

გუდაურში წელს ბოლო 5-წლიანი რეკორდის გაუმჯობესებას ელოდებიან და აცხადებენ, რომ კურორტი ტურისტებს თვისობრივად გაუმჯობესებულ ხარისხს შესთავაზებს.

# ეროვნული ბანკი: „დღეს ბაზარზე არსებული დოლარის ფასი გადაჭარბებულია"




საქართველოს ეროვნული ბანკი ლარის კურსის ვარდნასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომელსაც მოკლევადიანი მერყეობა ახასიათებს.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბოლო პერიოდში სავალუტო ბაზარზე გაცვლითი კურსის მერყეობის მიზეზები არ უკავშირდება ფუნდამენტურ ეკონომიკურ ფაქტორებს. კურსის მიმდინარე დინამიკაზე უარყოფითად მოქმედებს საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში არსებული გარემო, რაც სავალუტო ბაზარზე აისახება. ეროვნული ბანკი დაბეჯითებით მოუწოდებს საჯარო პირებსა და ექსპერტებს, თავი შეიკავონ ვალუტის კურსის შესახებ უსაფუძვლო განცხადებებისა და პროგნოზებისაგან, რათა ამით კიდევ უფრო არ გაძლიერდეს არასწორი მოლოდინები.

ამდენად, დღეს ბაზარზე არსებული აშშ დოლარის ფასი გადაჭარბებულია და ეროვნული ბანკი მოსახლეობას და ეკონომიკურ აგენტებს ურჩევს, ნუ მიიღებენ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, რომელიც, დიდი ალბათობით, მათვე დააზარალებს.

ზემოაღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სესხის და შემოსავლის ვალუტა უმჯობესია ერთი და იგივე იყოს, როგორც ეს ეროვნულ ბანკს არაერთხელ განუცხადებია. ასეთ შემთხვევაში მსესხებლები მოწყვლადები არ იქნებიან კურსის მოკლევადიანი მერყეობის მიმართ.

ასევე შეგახსენებთ, რომ ეროვნული ბანკის მიზანია საშუალოვადიან პერიოდში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა და, შესაბამისად, ეროვნული ბანკი გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ინსტრუმენტებს, რათა არ დაუშვას მაღალი ინფლაცია" – ნათქვამია ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# ზაალ იაკობიძე: „ზოგიერთი ნავთობკომპანია მაღალი მოგების მარჟით მუშაობს"



– ზოგიერთი ნავთობკომპანია მაღალი მოგების მარჟით მუშაობს, – აცხადებს ბიემჯისთან „სენტას" გენერალური დირექტორი.

სწორედ ამით ხნის ზაალ იაკობიძე საწვავის ფასებს შორის იმ განსხვავებას, რაც მომხმარებელს სხვადასხვა ბენზინგასამართ სადგურზე ხვდება.

იაკობიძე აცხადებს, რომ საწვავის ფასს მასზე მოქმედი ფაქტორების (ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ფასი და ლარის გაცვლითი კურსი) გარდა, სწორედ კომპანიების მოგების მაღალი მარჟა განაპირობებს.

– ხარჯები დაახლოებით თანაბარია, ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე კომპანიას იაფი აქვს თვითღირებულება ან სხვა კომპანიას რამით განსხვავებული. არა, ეს არ არის ძალიან დიდი განსხვავება ხარჯების კუთხით. ზოგიერთი კომპანია მუშაობს მოგების მაღალ მარჟაზე და სხვა კომპანიები კმაყოფილდებიან უფრო დაბალი მარჟით. ძალიან მიკვირს, რომ არ არის ადამიანი, რომელიც იტყვის, რა ჯდება საწვავი, რა არის მისი თვითღირებულება, რომ დაითვალოს მარჟა, – აცხადებს ზაალ იაკობიძე.

# ოთარ ფარცხალაძეს ლაშა თორდიას ცემისთვის ბრალი წაუყენეს



## მას და მიხეილ ჩოხელს 5.000-5.000 ლარიანი გირაო შეეფარდათ



5 ნოემბერს ყოფილ მთავარ პროკურორ ოთარ ფარცხალაძეს ბრალი წარედგინა.

მალევე მედიისთვის მალულად ჩატარდა სასამართლო, რომელმაც ოთარ ფარცხალაძეს 5 ათას ლარიანი გირაო შეუფარდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ოთარ ფარცხალაძეს ბრალი ელცენტროში გენერალური აუდიტორის, ლაშა თორდიას, ცემის ფაქტზე წარედგინა.

ფარცხალაძის ადვოკატ გაგი მოსიაშვილის თქმით, მისი კლიენტი წარდგენილ ბრალში თავს უდანაშაულოდ ცნობს.

– ოთარ ფარცხალაძე პროვოცირების მსხვერპლია, – განაცხადა ადვოკატმა.

მისი თქმით, გირაო 5 ათასი ლარის ოდენობით ბრალდების მხარემ მოითხოვა.

❖ ❖ ❖

გუშინ პროკურატურაში აღნიშნულ საკითხზე ბრიფინგი გაიმართა.

– ელცენტროში ლაშა თორდიასა და ოთარ ფარცხალაძეს შორის დაპირისპირება ყოფით ნიადაგზე მოხდა, – განაცხადა პროკურორმა ემზარ გაგნიძემ.

იყო თუ არა გენერალურ აუდიტორზე თავდასხმის მიზეზი მის მიერ მომზადებული აუდიტის დასკვნა? პროკურორის თქმით, გამოძიება ამ საკითხზეც მიმდინარეობს.

– საქართველოს პროკურატურა პოლიტიკური პროცესებისგან არის სრულიად დეპოლიტიზირებული. ჩვენ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს ვიძიებთ მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოებში.

რაც შეეხება იმ ვერსიას, რომელზეც დაზარალებული საუბრობდა, რომ თითქოსდა აუდიტის დასკვნა გახდა მიზეზი, ამ საკითხთან მიმართებითაც განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება, რომელიც დასკვნით ფაზაშია უკვე გადასული.

აღნიშნულ საქმეშიც ჩართულები არიან საერთაშორისო ექსპერტები. ჩვენი ინფორმაციით, ისინი უახლოეს მომავალში დადებენ დასკვნას, – განაცხადა პროკურორმა ემზარ გაგნიძემ.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, ხომ არ მოხდა ოთარ ფარცხალაძისა და ლაშა თორდიას საქმის შესწავლისა და ბრალის წარდგენისთვის დროის გაჭიანურება ხელოვნურად.

პროკურორმა განმარტა, რომ ყველა პროცედურა საგამოძიებო უწყების მხრიდან კანონის სრული დაცვით მიმდინარეობს.

– ლაშა თორდიას ჩაუტარდა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, გარდა ამისა, ტარდებოდა ყველა ის საჭირო საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ბრალის წარდგენისთვის იყო საჭირო.

ამ შემთხვევაში არსებობდა გამოძიების ხანდაზმულობის 2-წლიანი ვადა. წელიწადნახევარიც არ არის გასული ფაქტიდან. გამოძიება ჩატარდა დადგენილ საგამოძიებო ვადაში და ყველა იმ საჭირო მტკიცებულების მოგროვების შემდეგ მივმართეთ სასამართლოს ბრალის წარდგენისთვის, – აღნიშნა პროკურორმა.

მან დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზეც ისაუბრა.

– დაზარალებულად ცნობის დადგენილების გამოტანას აქვს საკუთარი ვადები. ყველა საჭირო მტკიცებულების მოგროვების შემდეგ ჩვენ მივმართეთ ბრალის წარდგენის შემდეგ სასამართლოს დაზარალებულის სტატუსის მისანიჭებლად, – განაცხადა ემზარ გაგნიძემ.

ამასთან, პროკურორმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ექსპერტებმა დასკვნა არ დადეს თორდიას ცემის საქმეზე, რადგან მათ თქვეს, რომ ისინი განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებზე აკეთებენ დასკვნებს და ამ საქმეში არსებობდა ყოფით ნიადაგზე ჩადენილი დაპირისპირება.

– ამ ეტაპზე ამ საკითხთან, ცემის ფაქტთან მიმართებით საერთაშორისო ექსპერტების ჯგუფის წევრების დასკვნა არ არის. თუმცა, სასამართლო ექსპერტიზა, რა თქმა უნდა, გვაქვს ზიანის ნაწილში, – განმარტა ემზარ გაგნიძემ.

მისი თქმით, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ცემის შედეგად ლაშა თორდიამ მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება.

– აქედან გამომდინარე, პროკურატურის მიერ ლაშა თორდია დაზარალებულად იქნა ცნობილი და არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, იქიდან გამომდინარე, რომ ხსენებული ქმედება განეკუთვნება დანაშაულის ნაკლებად მძიმე კატეგორიას, ოთარ ფარცხალაძეს და მიხეილ ჩოხელს აღკვეთის ღონისძიების სახედ განესაზღვრათ 5.000-5.000 ლარის ოდენობით გირაო, – განაცხადა პროკურორმა.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა 2018 წლის 20 დეკემბერს ჩაინიშნა.

მთავარი პროკურატურა ოთარ ფარცხალაძეს „ომეგა ჯგუფის“ საქმესთან დაკავშირებითაც გამოკითხავს.

პროკურორი ემზარ გაგნიძე ადასტურებს ინფორმაციას, რომ ფარცხალაძე ამ დრომდე „ომეგა ჯგუფის“ საქმეზე გამოკითხული არ არის.

– მინდა განვაცხადო დეტალურად, რომ ომეგა ჯგუფთან დაკავშირებით ჩატარდება ყველა ის საჭირო საგამოძიებო მოქმედება, რომელიც უწყვეტ რეჟიმში ახლაც მიმდინარეობს.

როგორც უკვე აღვნიშნე, ოთარ ფარცხალაძეს ბრალი უკვე წარდგენილი აქვს სხვა სისხლის სამართლის საქმეზე, რაზეც ახლა აქ ვიმყოფებით და, რა თქმა უნდა, აღარ არსებობს კითხვის ნიშანი, რომ ოთარ ფარცხალაძე ომეგა ჯგუფის საქმესთან დაკავშირებითაც გამოიკითხება, – ამბობს გაგნიძე.

ოთარ ფარცხალაძე იმ სკანდალურ აუდიო ჩანაწერებში ფიგურირებს, რომლებიც „ომეგა ჯგუფის“ საქმეზე გავრცელდა.

ფარცხალაძე ფიგურირებს, როგორ „თიბისი“ ბანკიდან დიდი ოდენობით თანხის გატანის ეპიზოდში, ასევე ე.წ. სარდაფის ცნობილ ეპიზოდში.

გარდა ამისა, ყველა ჩანაწერში ფარცხალაძე წარმოჩენილია, როგორც ბიძინა ივანიშვილთან ყველაზე დაახლოებული პირი.

❖ ❖ ❖

ლაშა თორდია ოთარ ფარცხალაძისთვის ბრალის დამძიმებას ითხოვს.

როგორც თორდიამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ყოფით ნიადაგზე ცემა არის თვალში ნაცრის შეყრა და ოთარ ფარცხალაძის გასუფთავების პროცესი იმ მძიმე ბრალდებებიდან, რომელთაც მას უყენებენ.

– პირველ რიგში, ძალიან მაინტერესებს გამოძიების საქმის მასალები. როგორც გამომძიებელმა მითხრა, გამოგზავნილია ფოსტით დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ. აქამდე დაზარალებულადაც კი არ ვიყავი ცნობილი და არც ის ვიცოდით, როგორ მიდიოდა საქმის გამოძიება.

იმ მუხლს, რითაც ფარცხალაძეს ბრალი აქვს წარდგენილი, არ ვეთანხმები. ყოფით ნიადაგზე ცემა ეს არის თვალში ნაცრის შეყრა, ოთარ ფარცხალაძის გასუფთავების პროცესი იმ მძიმე ბრალდებებიდან, რომელთაც მას უყენებენ.

რა პირადი მოტივი უნდა მქონოდა მასთან, ან საერთოდ როგორ მივუახლოვდებოდი, როდესაც რამდენიმე დაცვით და თანმხლები პირით გადაადგილდება, თან მარტო მივედი და ათ კაცს დავუწყე ლანძღვა, თუ რა მოტივი უწერიათ, ძალიან მაინტერესებს.

ეს აშკარად უკავშირდება არჩევნებს. წელიწადი და შვიდი თვეა მიდის გამოძიება, რაღა ამ დროს დაამთხვიეს?! ასე სწრაფად, ერთ დღეს ადვოკატისგან გავიგეთ ყველაფერი ერთად – ბრალიც წაუყენებიათ, სასამართლოც ჩაუტარებიათ და გირაოც შეუფარდებიათ.

დასკვნები თქვენ გამოიტანეთ. აუცილებლად მოვითხოვ ბრალის გადაკვალიფიცირებას, – განაცხადა ლაშა თორდიამ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელ ლაშა თორდიასა და ყოფილ მთავარ პროკურორ ოთარ ფარცხალაძეს შორის ინციდენტი გასული წლის 12 მაისს თბილისში, შარდენის ქუჩაზე მდებარე კლუბ ელცენტროში მოხდა.

ლაშა თორდიას მტკიცებით, მას თავს ოთარ ფარცხალაძე და მისი თანმხლები რამდენიმე პირი დაესხნენ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი მომხდარს მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას უკავშირებს. მოგვიანებით აღნიშნული ინციდენტის ვიდეომასალაც გავრცელდა, სადაც ჩანს, თუ როგორ ურტყამს ფარცხალაძე თორდიას.

ლაშა თორდიას განცხადებით, ფარცხალაძის ქმედება აუდიტის სამსახურის საქმიანობამ გამოიწვია, რომელიც იმ პერიოდში ფარცხალაძისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემას სწავლობდა.

# პაატა ბურჭულაძე კობა დავითაშვილისგან 25.000 ლარს ითხოვს

– ვითხოვთ, კობა დავითაშვილმა უარყოს მის მიერ ცილისმწამებლური განცხადებები და აანაზღაუროს მორალური ზიანი 25 ათასი ლარის ოდენობით. ამის შესახებ ფონდ „იავნანას“ დამფუძნებლის პაატა ბურჭულაძის ადვოკატმა მარიამ ჩიქოვანმა გუშინ, 6 ნოემბერს, საქალაქო სასამართლოში სხდომის დაწყებამდე განაცხადა.

საქმე ეხება პაატა ბურჭულაძის სარჩელს კობა დავითაშვილის წინააღმდეგ.

– კობა დავითაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ პაატა ბურჭულაძე ფონდ „იავნანაში“ შესულ თანხებს იპარავდა. ეს არის ცილისწამება, არის პატივის და ღირსების შემლახავი განცხადება.

ჩვენ ვითხოვთ, კობა დავითაშვილმა უარყოს მის მიერ ცილისმწამებლური განცხადებები და აანაზღაუროს მორალური ზიანი 25 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადაირიცხება ფონდ იავნანაში, – განაცხადა მარიამ ჩიქოვანმა.

– გპირდები, რომ ამ პროცესზე შენ იქნები ბრალდებული და მე ვიქნები ბრალმდებელი, – ასე მიმართა კობა დავითაშვილმა



პაატა ბურჭულაძეს.

კობა დავითაშვილის თქმით, ის მიმდინარე პროცესზე დაადასტურებს პაატა ბურჭულაძის დანაშაულებრივ ქმედებებს.

– 2 წლის წინ დაიწყო ფილმების სერია „პოსტ ტვ“-ში ბურჭულაძის კაი კაცობის შესახებ, თუ როგორ იყენებს ის საქველმოქმედო ფონდს იმისათვის, რომ აკეთოს ფული. სხვათა



### კობა დავითაშვილი: „ნაცების“ ბანს მე დავსვამ ამ საბრალდებო სკამზე და გავტკეპნი მას“

შორის, ის დღეს აგრძელებს მრავალშვილიან ოჯახებზე ფულის კეთებას და ახლა გავიგე, რომ მისთვის 25 ათასი ლარი სიმბოლური თანხა ყოფილა.

ჩემს ოჯახზეც აპირებს იმავეს გაკეთებას, რაც სხვებზე გააკეთა. მე მინდა ვუპასუხო ნაციონალების ბანს – პაატა ბურჭულაძე, სად იყავი 2 წლის წინ, როდესაც მამხილებელი ფილმების ეს სერია გაკეთდა შენზე. იქნებ იმიტომ, რომ სიმართლე იყო იქ ნათქვამი ყველაფერი. მე გპირდები, რომ ამ პროცესზე შენ იქნები ბრალდებული და მე ვიქნები ბრალმდებელი. ჩვენი კოჰაბიტაციისგან ნაცებით გაძეძგილ პროკურატურას თუ არ ყოფნის არც უნარი და არც სურვილი ბრალდების სკამზე დასვას ბურჭულაძე, ნაცების ბანს მე დავსვამ ამ საბრალდებო სკამზე და გავტკეპნი მას, – განაცხადა კობა დავითაშვილმა.

# „ვხუმრობდით, იცინოდა, მერე შეიყვანეს საოპერაციოდ და ბავშვს გული გაუჩერდა“ რუსთავში 17 წლის მოზარდი გარდაიცვალა



რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში 17 წლის ბიჭი გარდაიცვალა. გარდაცვლილის მამა „ინფო რუსთავთან“ აცხადებს, რომ მის შვილს მანქანა დაეჯახა და ხელი ჰქონდა მოტეხილი, რომელიც ოპერაციას საჭიროებდა.

– ბავშვი კარგად იყო, სანამ საავადმყოფოში მივიდოდით, გზაში მელაპარაკებოდა, ვხუმრობდით, იცინოდა, მერე შეიყვანეს საოპერაციოდ და ბავშვს გული გაუჩერდა, მე ვფიქრობ, რომ ნარკოზიდან ვერ გამოიყვანეს ბავშვი, – განაცხადა გარდაცვლილი მოზარდის მამამ.

არსებული ინფორმაციით, არასრულწლოვანს ოპერაციის დროს გული გაუჩერდა, ასევე ვრცელდება ვერსია, რომ პაციენტი ნარკოზიდან ვერ გამოვიდა.

შსს-ში „ინფო რუსთავს“ განუცხადეს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავდა მოზარდი, რომელიც გადაიყვანეს საავადმყოფოში, გამოძიება 276-ე მუხლით დაიწყო.

# ტრამპი: „არა მგონია, რომ პუტინს პარიზში შევხვდე!“



მალე პარიზში პირველი მსოფლიო ომის დამთავრების მე-100 წლისთავი აღინიშნება. ღონისძიებას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები, მათ შორის პუტინი და ტრამპიც დაესწრებიან.

რუსეთის პრეზიდენტმა გამოთქვა სურვილი, რომ თავის ამერიკელ კოლეგას პარიზში შეხვდეს.

– მგონი დადგა დრო, რათა მე და ბატონმა ტრამპმა ყველა საკითხი გავარკვიოთ, – განაცხადა პუტინმა.

ტრამპმა პასუხად შენიშნა, რომ პარიზში პუტინთან შეხვედრა პრობლემატური იქნება.

– არა მგონია, რომ ბატონ პუტინს პარიზში შევხვდე! – თქვა მან.

ტრამპმა გამოთქვა სურვილი, რომ პუტინს არგენტინაში შეხვდეს.

– თვის ბოლოს არგენტინაში დიდი ოცეულის სამიტი ჩატარდება! ბატონ პუტინსაც იქ შევხვდები! – ამბობს ტრამპი.

# სტოლტენბერგი რუსეთთან დიალოგისკენ მოუწოდებს



ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ რუსეთ– დასავლეთს შორის ურთიერთობა სულ უფრო მწვავდება.

– მდგომარეობა უფრო სერიოზულია, ვიდრე ეს ცივი ომის დროს იყო, – აცხადებს სტოლტენბერგი.

ნატოს გენერალური მდივანი თვლის, რომ ამ ჩიხიდან გამოსვლა აუცილებელია. საამისოდ კი რუსეთთან დიალოგია საჭირო.

– რასაკვირველია, ეს ფუნდამენტური პრინციპების დათმობის ხარჯზე არ უნდა მოხდეს, – ამბობს სტოლტენბერგი.

# ემანუელ მაკრონზე თავდასხმის მომზადებისთვის 6 პირი დააკავეს



საფრანგეთში შიდა უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ქვეყნის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონზე თავდასხმის მომზადებისთვის ექვსი პირი დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას ფრანგული მედია ავრცელებს.

არსებული ინფორმაციით, დაკავებული პირები რადიკალური შეხედულებების მხარდამჭერები არიან. დაკავების ოპერაცია იზერის, მოზელის და ილი და ვილენის დეპარტამენტებში ჩატარდა.

პარიზის პროკურატურამ წინასწარი გამოძიება დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნის მუხლით დაიწყო.

საქმის სხვა დეტალები ჯერჯერობით არ ვრცელდება.

# სირიაში რუსი ჯარისკაცები კვლავ დაიღუპნენ

სირიაში 6 რუსი ჯარისკაცი დაიღუპა. ეს დეირ-აზ-ზორის მახლობლად მოხდა.

დაღუპულები ფირმა „ვაგნერის“ მებრძოლები იყვნენ.

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ განაცხადა, რომ დაღუპულები მოხალისეები იყვნენ.

– რუსეთის ოფიციალურ სტრუქტურებთან მათ საერთო არაფერი აქვთ, – ამბობს შოიგუ.





# თურქეთი საუდის არაბეთს ბრალს სდებს

გრძელდება აჟიოტაჟი საუდელი ჟურნალისტის ჰაშოგის მკვლელობის გარშემო.

თურქეთის პრემიერმა ბინალი ილდირიმმა საუდის არაბეთის ხელისუფლების მიმართ მორიგი ბრალდებები წამოაყენა:

– ოფიციალურმა ელ-რიადმა ყველაფერი იღონა საიმისოდ, რათა ჰაშოგის მკვლელობის კვალი წაეშალა, – თქვა ილდირიმმა.

# მოსკოვის მეტროში ძაღლმა პოლიციელები დაკბინა

მოსკოვის მეტროსადგურ ცვეტნოი ბულვარზე ინციდენტი მოხდა.

ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც მეტროში მთვრალი მოქალაქე შევიდა. ის ბინძური და წვერგაუპარსავი იყო, თან ასევე ბინძური ძაღლი ახლდა. ბუნებრივია, მეტროს თანამშრომელმა ის არ გაატარა. მოქალაქემ პასუხად გინება ატეხა. მაშინ საქმეში პოლიციელი ჩაერია. მან ხსენებულ მოქალაქეს ჯერ მუშტი ჩაარტყა, შემდეგ ხელი გადაუგრიხა და წაყვანა დაუპირა.

ამ დროს საქმეში ძაღლი ჩაერია. ის პოლიციელს მიახტა და ძირს დასცა.



პოლიციელის დასახმარებლად მისი კოლეგები მიცვივდნენ. ამან ძაღლი კიდევ უფრო გააცოფა და მან 2 პოლიციელს უკბინა. პოლიციელებმაც ტაბელური იარაღი გამოიყენეს და ძაღლი იქვე ჩაცხრილეს, მისი პატრონი კი დააპატიმრეს.

დაზარალებული პოლიციელები საავადმყოფოში მოათავსეს.

– ინციდენტი იმის გამო მოხდა, რომ ლოთმა, რომელიც მეტროში მთვრალი და გაზუნზლული შედიოდა, ძაღლი მომიქსია, – განაცხადა ერთ-ერთმა პოლიციელმა.

თავად ლოთი ამას უარყოფს. ის ამტკიცებს, რომ პოლიციელები მას ჯერ დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ, შემდეგ წააქციეს და სცემდნენ. ეს დღისით – მზისით, ყველას თვალწინ ხდებოდა, მაგრამ არავინ გამოესარჩლა.

– პროტესტი მხოლოდ ჩემმა ძაღლმა გამოაცხადა, – თქვა მან.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი. ☎ 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საინტერესო ფაქტი ქართულ რაგბიში — ექვსი გაძევებული ერთდროულად

### არმია-ბათუმი 6:13

ბათუმმა დიდი 10-ის მე-8 ტურში ზედიზედ მე-6 გამარჯვება მოიპოვა და სატურნირო ცხრილის თავში რჩება. ზღვისპირელები აუტსაიდერ არმიას რუსთავში შეხვდნენ და მეტოქეს დაძაბულ ბრძოლაში 13:6 სძლიეს.

თამაში არმიელების შეტევებით დაიწყო და მალევე ჯარიმით დაწინაურდნენ — ბახვა კობახიძემ თავის ყოფილ გუნდს გაუტანა. მალევე მეორედაც შეეძლო გატანა, მაგრამ საშუალო დისტანციიდან მიზანი ვერ გაისწორა. ბათუმი ტაიმის შუაში გააქტიურდა, მაგრამ ვაჟა ხუციშვილს ზედ ლელოს ხაზთან დაუვარდა ბურთი, თუმცა, რამდენიმე წუთში ლელო ზურა თუთბერიძემ გაიტანა. მამუკა ნინიძეს გარდასახვა გაუცუდდა, სამაგიეროდ 27-ე წუთზე ჯარიმა გაიტანა და ტაიმი სტუმრებმა 8:3 მოიგეს.

სტუმრებმა მეორე ტაიმის შუაში შერკინებიდან, მოკლე ფრთაზე შეუტიეს და ლადო მიმინოშვილმა ალამთან მეორე ლელო გაიტანა. გარდასახვა არაზუსტი იყო და მატჩის მიწურულს ორივე გუნდმა ბონუსზე ითამაშა. საბოლოოდ არმიას გაუმართლა, რომელმაც ჯარიმა გამოიმუშავა, კობახიძემ ახლოდან გაიტანა და ბათუმმა 7 ქულის სხვაობით იმარჯვა.

### ჯიქი-ლოკომოტივი 16:19

გასული სეზონის ჩემპიონმა თბილისის ლოკომოტივმა გორში ექსჩემპიონი ჯიქი 19:16 დაამარცხა და მე-2 ადგილი შეინარჩუნა.

ტურის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა თვალსასეირო და დაძაბული გამოდგა. სტუმრებმა პირველსავე წუთზე მოიპოვეს ბურთი, ფაზები აკინძეს, ჯარიმა გამოიმუშავეს და ბექა წიკლაურმა ახლოდან ანგარიში გახსნა. მასპინძლებმა პასუხი არ დააგვიანეს, მეტოქის ნახევარზე დაახლოებით 5 წუთი გაატარეს და სანდრო ფურცხვანიძემ წონასწორობა აღადგინა.

მალე ჯიქს ლელოს გატანის შანსიც ჰქონდა, მაგრამ ამით ვერ ისარგებლა. სამაგიეროდ, ლოკომოტივმა დააყენა კარგი მოლი, დაახლოებით 18-20 მეტრი დაფარა და დაჩი კოპაძის ლელო წიკლაურმა გარდასახა. საპასუხოდ, ფურცხვანიძემ 21-ე და 28-ე წუთებზე გატანილი ჯარიმებით სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა და ტაიმი თბილისელებმა 10:9 მოიგეს.

ზედ შესვენების წინ ერთი საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა — შერკინებით უკმაყოფილო რეფერიმ ორივე გუნდის პირველი ხაზი, ჯამში 6 მორაგბე გაასინბინა და მეტოქეები მოედანზე 10 წუთით 12-12 კაცის ამარა დარჩნენ.



სივრცეებით მეორე ტაიმის დებიუტში ჯიქმა ისარგებლა. მათ ჯერ მეტოქის ნახევარზე მოიპოვეს ჯარიმა, დერეფნიდან დაყენებულ მოლს დავით ხიდეშელი მოწყდა და ლელოში შევიდა, ხოლო ფურცხვანიძემ გარდასახა.

სინბინიდან მოთამაშეები რომ დაბრუნდნენ, ლოკომოტივი ინიციატივას დაეუფლა. წიკლაურმა 2 ცდიდან ერთი ჯარიმა გაიტანა, 59-ე წუთზე კი გიორგი კაკაურიძემ სახიფათო ბოჭვისთვის მეორე ყვითელი, შესაბამისად, წითელი ბარათი მიიღო და ჯიქი მატჩის ბოლომდე მოედანზე კაცნაკლული დარჩა.

გორელებმა გარკვეული დროით მეტოქის ნახევარზე გადასვლა კი მოახერხეს, მაგრამ ქულები ვერ აიღეს. დასკვნით წუთებში სტუმრებმა შეძლეს მეტოქის ნახევარზე დამკვიდრება და 76-ე წუთზე წიკლაურმა ჯარიმით წონასწორობა აღადგინა, ხოლო მე-80-ზე 35 მეტრიდან გაიტანა და ლოკომოტივმა სტუმრად 19:16 იმარჯვა.

### არმაზი-ლელო-სარასენსი 15:6

ტურის ასევე გამორჩეულ მატჩში მარნეულის არმაზმა თბილისის ლელო-სარასენსს 15:6 სძლია და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილამდე აღზევდა.

ნომინალური მასპინძლებიდან 15-ვე ქულა რეზი ჯინჭველაშვილის ანგარიშზეა, რომელმაც 4 ჯარიმა და 1 არეკნი გაიტანა.

საწყისი 10 წუთი არმაზის იყო და ჯინჭველაშვილმა კარში ორჯერ დაარტყა, რომელთაგან ერთი ზუსტი იყო. თენგიზ პერანიძემ მე-15 და მე-19 წუთებზე 2 ჯარიმით უპასუხა და ტაიმი ლელო-სარასენსმა 6:3 მოიგო, თუმცა დარჩენილი საათის განმავლობაში მონაგარს ველარაფერი შემატა. ამის შანსი იყო, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, მაგრამ პერანიძეს საშუალო დისტანციიდან 2 ჯარიმა გაუცუდდა.

მეორე ტაიმი ჯინჭველაშვილის ჯარიმით დაიწყო და ანგარიში გაათანაბრა, ხოლო 53-ე წუთზე იმავე პოზიციიდან არმაზი დააწინაურა. ლელო-სარასენსს ანგარიში 64-ე წუთზე უნდა გაეთანაბრებინა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ჯარიმა ვერ გაიტანა, ხოლო ორიოდე წუთში ლელომდე სანტიმეტრები დააკლდა.

დასკვნით 5 წუთში ანგარიში კიდევ ორჯერ შეიცვალა და ორივეჯერ არმაზის სასარგებლოდ. 75-ე წუთზე ლელო-სარასენსი შეტევაში დაჯარიმდა და ჯინჭველაშვილი 45 მეტრიდან ზუსტი იყო, ხოლო გაწითლებულ დროზე მანვე მესამე ცდით არეკნიც გაიტანა და ლელო-სარასენსს ბონუსის აღების საშუალებაც არ მისცა — 15:6.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

**5 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჰადერსფილდი-ფულემი ................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 11 | 9 | 2 | 0 | 33-4 | 29 |
| 2.ჩელსი | 11 | 8 | 3 | 0 | 27-8 | 27 |
| 3.ლივერპული | 11 | 8 | 3 | 0 | 21-5 | 27 |
| 4.ტოტენჰემი | 11 | 8 | 0 | 3 | 19-10 | 24 |
| 5.არსენალი | 11 | 7 | 2 | 2 | 25-14 | 23 |
| 6.ბორნმუთი | 11 | 6 | 2 | 3 | 20-14 | 20 |
| 7.მანჩესტერი | 11 | 6 | 2 | 3 | 19-18 | 20 |
| 8.უოტფორდი | 11 | 6 | 1 | 4 | 16-13 | 19 |
| 9.ევერტონი | 11 | 5 | 3 | 3 | 19-15 | 18 |
| 10.ლესტერი | 11 | 5 | 1 | 5 | 17-16 | 16 |
| 11.ვულვზი | 11 | 4 | 3 | 4 | 11-12 | 15 |
| 12.ბრაიტონი | 11 | 4 | 2 | 5 | 12-16 | 14 |
| 13.ვესტ ჰემი | 11 | 3 | 2 | 6 | 13-17 | 11 |
| 14.კრ.პალასი | 11 | 2 | 2 | 7 | 8-16 | 8 |
| 15.ბარნლი | 11 | 2 | 2 | 7 | 12-25 | 8 |
| 16.საუთჰემპტონი | 11 | 1 | 4 | 6 | 7-20 | 7 |
| 17.ნიუკასლი | 11 | 1 | 3 | 7 | 7-14 | 6 |
| 18.ჰადერსფილდი | 11 | 1 | 3 | 7 | 5-21 | 6 |
| 19.კარდიფი | 11 | 1 | 2 | 8 | 9-24 | 5 |
| 20.ფულემი | 11 | 1 | 2 | 8 | 11-29 | 5 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-ბილბაო ...................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 11 | 7 | 3 | 1 | 31:14 | 24 |
| 2.ესპანიოლი | 11 | 6 | 3 | 2 | 15:8 | 21 |
| 3.სევილია | 11 | 6 | 2 | 3 | 22:13 | 20 |
| 4.ატლეტიკო | 11 | 5 | 5 | 1 | 13:6 | 20 |
| 5.ალავესი | 11 | 6 | 2 | 3 | 15:11 | 20 |
| 6.რეალი | 11 | 5 | 2 | 4 | 16:14 | 17 |
| 7.ლევანტე | 11 | 5 | 2 | 4 | 17:16 | 17 |
| 8.ხეტაფე | 11 | 4 | 4 | 3 | 11:9 | 16 |
| 9.ვალიადოლიდი | 11 | 4 | 4 | 3 | 9:9 | 16 |
| 10.ხირონა | 11 | 4 | 4 | 3 | 13:14 | 16 |
| 11.სელტა | 11 | 3 | 5 | 3 | 20:16 | 14 |
| 12.ეიბარი | 11 | 4 | 2 | 5 | 12:18 | 14 |
| 13.სოსიედადი | 11 | 3 | 4 | 4 | 12:13 | 13 |
| 14.ბეტისი | 11 | 3 | 4 | 4 | 8:12 | 13 |
| 15.ვალენსია | 11 | 1 | 8 | 2 | 7:9 | 11 |
| 16.ვილიარეალი | 11 | 2 | 4 | 5 | 9:11 | 10 |
| 17.ბილბაო | 11 | 1 | 7 | 3 | 11:16 | 10 |
| 18.ლეგანესი | 11 | 2 | 3 | 6 | 9:16 | 9 |
| 19.რაიო | 11 | 1 | 3 | 7 | 12:23 | 6 |
| 20.უესკა | 11 | 1 | 3 | 7 | 9:23 | 6 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰამბურგი-კიოლნი ........................ 1:0

**იტალია. სერია ბ**

პესკარა-ლეჩე ................................ 4:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

მეცი-ოსერი .................................... 0:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-ნასიონალი ....................... 3:3
ჩავეში-ავეში .................................. 1:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ორენბურგი-რუბინი ........................ 1:0
უფა-კრილია ................................... 1:2
ანჟი-ენისეი .................................... 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-ქსანთი ........................... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გიოზთეფე-რიზე ............................. 2:0
სივასი-ქონია .................................. 0:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ლიბერეცი-ბოლესლავი .................. 1:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სოსნოვი-იაგელონია ....................... 1:4

**დანია სუპერლიგა**

ვეილე-ჰორსენსი ............................ 3:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

დაკლურდი-დიურგარდენი ............ 1:2
სირიუსი-კალმარი ......................... 1:1
ტრელებორგი-ესტერსუნდი .......... 0:1
ელფსბორგი-ბრომაპოიკარნა ........ 1:2

**ნორვეგია. ელიტსერია**

ლილესტრიომი-ბოდო ... გლიმდტი 1:1

# ვლადიმირ ვაისმა სეზონის ბოლო მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს უეფას ერთა ლიგის 2 მატჩი დარჩა ჩასატარებელი. ვლადიმირ ვაისის გუნდი მოახლებული მატჩებისთვის მზადებას 12 ნოემბერს დაიწყებს. გუნდი ანდორაში შეიკრიბება, ხოლო ერთა ლიგის მეხუთე ტურის შეხვედრა ანდორის წინააღმდეგ 15 ნოემბერს შედგება. ქართველი ფეხბურთელები წლის ბოლო მატჩს კი შინ 19 ნოემბერს ყაზახეთის წინააღმდეგ „დინამო არენაზე“ გამართავენ.

მომავალი მატჩებისთვის ეროვნულ ნაკრებს ტრავმების გამო თორნიკე ოქრიაშვილი, ლევან მჭედლიძე და გიორგი პაპუნაშვილი ვერ დაეხმარებიან. მომავალი მატჩებისთვის ნაკრებში არ არის გამოძახებული ჯანო ანანიძეც, შესაძლოა, იმის გამო, რომ ჩვენებს ფლეი ოფში თამაში გარანტირებული აქვთ და საუკეთესო პირველადგილოსნის ბედიც პრაქტიკულად გადაწყვეტილი აქვთ.



ვლადიმირ ვაისმა უახლოესი 2 მატჩისთვის ეროვნულ ნაკრებში 23 ფეხბურთელი გამოიძახა.

**მეკარეები**: გიორგი ლორია (უგუნდო), როინ კვასხვაძე (ტორპედო), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

**მცველები**: ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), სოლომონ კვირკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), ლაშა დვალი (პოგონი, პოლონეთი), გიორგი ნავალოვსკი (დინამო, ბელორუსი), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი);

**ნახევარმცველები**: ჯაბა კანკავა, ნიკა კვეკვესკირი (ორივე ტობოლი, ყაზახეთი), გიორგი აბურჯანია (ლუგო, ესპანეთი), ვაკო გვილია (ლუცერნი, შვეიცარია), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ), ლუკა ზარანდია (არკა, პოლონეთი), ვახტანგ ჭანტურიშვილი (ტრნავა, სლოვაკეთი), გიორგი ხარაიშვილი (გეტებორგი, შვედეთი);

**თავდამსხმელები:** ნიკა კაჭარავა (ანორთოსისი, კვიპროსი), ბაჩანა არაბული (პუშკაშ-აკადემია, უნგრეთი).

# მომო სალაჰს გულშემატკივართა სიმღერა „ეგვიპტელი მეფე“ მოსწონს

ლივერპულის 125-წლიანი ისტორიის განმავლობაში არავის გაუტანია 50 გოლი ისე სწრაფად, როგორც ეს მოჰამედ სალაჰმა შეძლო. ეგვიპტელ შემტევს ამისთვის 65 მატჩი დასჭირდა.

როგორც იცით, სალაჰი მერსისაიდულ გრანდს 2017 წლის ივნისში შეუერთდა, სადებიუტო სეზონში კი პრემიერ ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა ერთ სეზონში გატანილი გოლების რაოდენობით.

კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინტერვიუ, სადაც მომო ძალიან საინტერესო შეკითხვებს პასუხობს.

***– როცა პირველად გაიგეთ ლივერპულის ინტერესზე, რა გაიფიქრეთ?***

– ლივერპული დიდი კლუბია და ეს ყველამ იცის. მას მთელს მსოფლიოში იცნობენ, მათ შორის, შუა აღმოსავლეთშიც. ალბათ, 10-11 წლის ვიყავი, როცა ამ კლუბზე გავიგე. დიახ, „ფლეისთეიშენის“ თამაშისას უმეტესად სწორედ ლივერპულს ვირჩევდი. აქ მოხვედრაზე ყოველთვის ვოცნებობდი, თუმცა ამ ოცნების ახდენა რეალურად არ მიმაჩნდა.

***– როდის მიხვდით, რომ ლივერპულში თამაშზე ოცნება, შესაძლოა, ამხდარიყო?***

– ეგვიპტიდან ბაზელში გადასვლისას ვფიქრობდი, რომ ერთ დღესაც ამ კლუბში ვითამაშებდი. ამის შანსი ადრეც მქონდა, მაგრამ მაშინ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. 1 წლის წინ კი ძალიან დიდი ინტერესი მქონდა აქ გადმოსვლის და აი, ახლა აქ ვარ.

***– რა გრძნობა დაგეუფლათ, როდესაც პირველად ესტუმრეთ მელვუდს?***

– ეს ახლაც საკმაოდ კარგად მახსოვს. დავდიოდი და ვფიქრობდი, რამდენად წარმატებული მსურდა ვყოფილიყავი და რამდენად მჯეროდა აქ წარმატების მიღწევის. ვიცოდი, რომ დიდებულ ფეხბურთელებთან ერთად ვითამაშებდი. ამავდროულად, მსურდა, ამ კლუბზე ყველაფერი რაც შეიძლება სწრაფად გამეგო. საოცარი გრძნობა იყო, ცოტას ვნერვიულობდი კიდეც... ახლა ვცდილობ, თითოეული მომენტით მივიღო სიამოვნება. პირველივე დღიდან ბედნიერი ვარ. მას შემდეგ, რაც თამაში და გოლების გატანა დავიწყე, თავს ისე ვგრძნობ, როგორ სახლში.

***– როგორ გაიხსენებთ პირველ ღამეს ლივერპულის ფეხბურთელის რანგში?***

– მედია ამ კლუბზე ძალიან ბევრს წერს, რადგან ეს დიდი კლუბია. იმ ღამეს სასტუმროში ვიყავი და ახალ ამბებს ვეცნობოდი. ვიცოდი, რომ გარკვეული წნეხის ქვეშ მოვექცეოდი, რადგან ხალხს სურდა, აქ წარმატებისთვის მიმეღწია. საკუთარ თავს ვუთხარი, რომ აქ ჩემი ფეხბურთი უნდა მეთამაშა.

***– როგორ შეგხვდნენ თანაგუნდელები პირველად?***

– ლივერპულთან კონტრაქტის გაფორმებიდან 3 კვირის შემდეგ დავიწყეთ ახალი სეზონისთვის მზადება. ყველას ერთდროულად ვერ შევხვდი. აქ ჯანსაღი კონკურენციაა, რადგან ყველას სურს მოედანზე გასვლა. ყველა იბრძვის საკუთარი ადგილის მოსაპოვებლად. ახლა თანაგუნდელებს კარგად ვიცნობ, მათაც იციან რა მიყვარს და რა მძულს. ამას დრო სჭირდებოდა. ახლა ურთიერთობით სიამოვნებას ვიღებ, პირველ დღეს კი ჩავთვალე, რომ ყველა მათგანი მოკრძალებული და კარგი ადამიანია.




***– გაიხსენეთ პირველი თამაში „ენფილდზე“.***

– აქ თამაში სრულიად განსხვავებული გრძნობაა, ახლაც კი. ფანები წინ გიბიძგებენ და შენ გრძნობ მათ სიყვარულს. ჩემი სადებიუტო შეხვედრა არა „ენფილდზე“, არამედ გასვლაზე ჩავატარე. ვიცი, ყველას აინტერესებდა, როგორ დავბრუნდებოდი ინგლისში, ბოსმა კი მითხრა, რომ უბრალოდ საკუთარი ფეხბურთი მეთამაშა. უოტფორდთან მე გავიტანე და პენალტიც მოვიპოვე. ყოველთვის გსურს შენს სადებიუტო მატჩში გოლის გატანა... მომდევნო ტურში კრისტალ პალასის წინააღმდეგ ვითამაშეთ „ენფილდზე“, მე კი მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩავერთე. მახსოვს გულშემატკივრების აპლოდისმენტები და ფანების თბილი მიღება. ეს ძალიან კარგი იყო. ახლა ეს ჩემი სახლია.

***– როცა პირველად მოისმინეთ, როგორ გიმღეროდნენ ფანები, რა გაიფიქრეთ?***

– გულშემატკივრებს არაერთი სიმღერა აქვთ ჩემზე. ყველაზე მეტად „ეგვიპტელი მეფე“ მომწონს. მისი მოსმენა საოცარი გრძნობა იყო. თამაშის დროს ემოციებითა და ადრენალინით მავსებს. ყოველთვის მემახსოვრება, როგორ მღეროდნენ ფანები ჩემზე ბრაიტონთან მატჩის შემდეგ, როცა მე „ოქროს ბუცი“ მივიღე. მათ მხარი ჩემს ქალიშვილსაც დაუჭირეს, როცა ის მოედანზე შემოვიდა და ალბათ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ფანების სტვენა მოვისმინე. იმ მომენტში ვგრძნობდი, როგორ უყვარდათ ფანებს ჩემი შვილი. ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის.

***– გუნდში ყველაზე მეტად დეიან ლოვრენთან მეგობრობთ. თქვენი პირველი შეხვედრა გახსოვთ?***

– დეიანს მელვუდში ვარჯიშის დაწყებისას შევხვდი და 1 კვირის შემდეგ ჩვენ ერთმანეთში საუბარი დავიწყეთ. დუბაიში კიდევ უფრო დავახლოვდით, მარბელიაში კი პირველად დავბანაკდით ერთად. ახლა ერთად ვხუმრობთ, ახლო მეგობრები ვართ და ერთად ვერთობით. ის ყოველთვის პოსტავს ჩემზე სოციალურ ქსელებში, მე კი ვეუბნები, რომ ჩემი წყალობით ის ეგვიპტეში უფრო პოპულარული ხდება. დეიანი დიდებული ადამიანია.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო საბჭო ახალ წესებზე იმსჯელებს

ფეხბურთში ახალი წესები იგეგმება. ცხადია, ამ ყველაფრის ორგანიზატორი საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო საბჭოა, რომელიც 1886 წელს დაარსდა, წარმოადგენს უნივერსალურ ორგანოს და იღებს გადაწყვეტილებებს ფეხბურთის თამაშის წესებზე. საბჭოს ამოცანაა, დაიცვას, შეადგინოს და შეიტანოს ცვლილებები თამაშის წესებში.




ამჯერად საბჭოს თერთმეტმეტრიანის შესრულების დროს დამატების წესის გაუქმება სურს. წესის შეცვლის შემთხვევაში, თუკი ბურთი ძელს მოხვდება ან მეკარე მოიგერიებს, ფეხბურთელებს დამატებაზე თამაშის უფლება აღარ ექნებათ. შესაბამისად, თამაშს მეკარე განაახლებს.

ამ საკითხზე მსჯელობა მსაჯებთან, მწვრთნელებთან და ყოფილ ფეხბურთელებთან ერთად ლონდონში დაიწყეს. 22 ნოემბერს გადაწყდება, შედგება თუ არა წესის ცვლილებაზე კენჭისყრა, რომელშიც საბჭოს 8 წევრმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. თუ საქმე კენჭისყრამდე მივიდა, წესის შესაცვლელად 8-დან 6 ხმა იქნება საჭირო.

რატომ აპირებენ პენალტის დარტყმისას დამატების გაუქმებას? ოფიციალური განმარტება ასეთია: ამით უნდა შეიზღუდოს ფეხბურთელების ნაადრევი შერბენა საჯარიმოში.

გარდა ამისა, დაგეგმილია მსჯელობა სხვა წესებზეც. მაგალითად:

1. ხელით თამაშის დროს წესების დარღვევა შესაძლოა აღარ დაფიქსირდეს, თუ მოთამაშის მოძრაობა ბუნებრივი იყო;

2. იმისათვის, რომ გუნდებმა დროის გაყვანის ხერხს აღარ მიმართონ, ფეხბურთელმა შეცვლის დროს მოედანი აუტის მისთვის უახლოეს ხაზთან დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# საინტერესო ფაქტი ქართულ რაგბიში — ექვსი გაძევებული ერთდროულად

დასაწყისი მე-9 გვერდზე

### აკადემია-ხარები 22:15

თბილისის აკადემიამ რუსთავის ხარებს გორის სტადიონზე უმასპინძლა და მიმდინარე სეზონში მეორე გამარჯვება მოიპოვა — 22:15.

თამაში კარგი საყურებელი გამოდგა და ლიდერთა შორის მყოფი რუსთაველების შეტევებით დაიწყო, თუმცა მალევე 2 ქულით ჩამორჩნენ და ტაიმიც 3:5 დათმეს. ანგარიში კობა ბუჯიაშვილმა ჯარიმით გახსნა, თუმცა მე-8 წუთზე ჯიმი ღამბაშიძემ გადაცემა საკუთარ ნახევარზე ჩაჭრა და ლელომდე ირბინა. მარცხენა ფრთიდან გარდასახვა არაზუსტი იყო და, მიუხედავად არაერთი მომენტისა, შესვენებამდე ანგარიში აღარ შეცვლილა.

ხარები ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ქულებში მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში ასახა. 43-ე წუთზე მოლი ლელოთი გიორგი ხაბაშვილმა დაასრულა, გარდასახვა ძელმა აისხლიტა, ხოლო 55-ე წუთზე სტუმრებმა შერკინების შემდეგ ორჯერ შეცვალეს შეტევის მიმართულება, მარჯვენა ფრთაზე მეტობა შეიქმნა და ლაშა გოგიაშვილის ლელო ბუჯიაშვილმა გარდასახა — 5:15.

დასკვნითი 20 წუთი აკადემიის იყო. თბილისელებმა 62-ე წუთზე დავით მოძღვრიშვილის ჯარიმით ჩამორჩენა შეამცირეს. 67-ე და 72-ე წუთებზე ხარებმა სინბინით ლაშა გოგიაშვილი და უჩა აღაშვილი დაკარგა. მასპინძლებმა ორკაციანი უპირატესობა 75-ე წუთზე გამოიყენეს, როდესაც 5-მეტრიან წყვეტილთან მეტოქის შერკინება ზედიზედ სამჯერ დააჯარიმეს, საჯარიმო ლელო გამოიმუშავეს და წონასწორობა აღადგინეს.

მალე მოედანზე გოგიაშვილი დაბრუნდა, თუმცა იქვე მაღალი ბოჭკვისთვის მე-2 ყვითელი და, შესაბამისად, წითელი ბარათი მიიღო და ხარები კვლავ 13 კაცის ამარა დარჩა. აკადემიამ მონდომებით შეუტია, მეტობაც კიდევ ერთხელ გამოიყენა, სანდრო ილურიძემ ბურთი რაქიდან მოიპარა და ლელომდე 10-12 მეტრი ირბინა, ხოლო მოძღვრიშვილმა გარდასახა — 22:15.

### ვეფხვები-აია 22:27

პატარძეულმა დიდი 10-ის თამაშს პირველად უმასპინძლა და ადგილობრივმა ვეფხვებმა სახელოვანი ქუთაისის აია მიიღო. მასპინძლებმა, ტრადიციულად, მედგრად იბრძოლეს და მეტოქეს 4 ლელო გაუტანეს, მაგრამ საბოლოოდ 22:27 დამარცხდნენ და მხოლოდ ნუგეშის ბონუსს დასჯერდნენ.

გულშემატკივრების შეძახილებით ფრთაშესხმულმა მასპინძლებმა თამაში აქტიურად დაიწყეს, მაგრამ პირველი ქულები თავად მიიღეს. ლაშა ლომიძემ ცენტრიდან ჯერ ჯარიმა გაიტანა, მერე 22-ში ხაზი გაჭრა და ლელოც თავადვე გარდასახა.

ვეფხვებმა ეს არ შეიმჩნიეს და ტაიმის ბოლომდე ლიდერობა მოიპოვეს. მათ საკუთარ მოედანზე პირველი ლელო 22-ე წუთზე გაიტანეს, 5-მეტრიანი დერეფნის შემდეგ მოლი 5 ქულით ჟორა მღებრიშვილმა დაასრულა. 29-ე წუთზე კახელებმა მოლით კიდევ ერთხელ შეუტიეს და ვეფხია უსტიაშვილმა ანგარიში გაათანაბრა, ხოლო 38-ე წუთზე, დერეფნის შემდეგ ბურთი ლაშა შალიკაშვილს დაუბრუნეს, მანაც მარჯვენა ფრთაზე თავად შეუტია, 20 მეტრი ირბინა და ანგარიში 15:10 გახდა. ნიკა ბეჟუაშვილს 3 გარდასახვის გარდა 1 ჯარიმაც გაუცუდდა, თორემ სხვაობა მეტი იქნებოდა.

აიამ მეორე ტაიმიც კარგად დაიწყო და დერეფნიდან შეტევის მე-4 მცდელობა ლელოთი საბა ერემეიშვილმა დაასრულა. 52-ე წუთზე მარჯვენა ფრთაზე ქუთაისელები მეტობაში აღმოჩნდნენ, გიორგი ნუცუბიძემ ბურთი მიიღო და ლელოც უპრობლემოდ გაიტანა, ხოლო ლომიძემ ამჯერად გარდასახა.

პატარძეულელებმა ნაცად ხერხს მიმართეს, 63-ე წუთზე მორიგი მოლი ააგორეს და შალიკაშვილმა თავისი მე-2 და გუნდის მე-4 ლელო გაიტანა, ხოლო გარდასახვა რეზი ბროძელმა შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა. 3 წუთში აიამ ხელდახელ, მაღალ ტემპში შეუტია და ოთარ ძაგნიძემ ლელო ალამთან გაიტანა. გარდასახვა არაზუსტი იყო და ვეფხვებს გამარჯვების შანსი რჩებოდათ, მაგრამ აიამ ლელოდან 5 მეტრში თავის დაცვა მოახერხა და დაძაბულ ბრძოლაში 27:22 იმარჯვა.

# ინდოეთში ცნობილი კაციჭამია ვეფხვი მოკლეს



ინდოეთის მახარაშტრას შტატში მოკლეს ვეფხვი, რომელსაც ტ1 შეარქვეს. ხელისუფლება თვლის, რომ მან ბოლო ორი წლის განმავლობაში 14 ადამიანი მოკლა.

მტაცებელი ცხოველი ერთ-ერთი სოფლის მახლობლად შენიშნეს. მაშინვე ადგილზე შეიარაღებული რეინჯერების გუნდი გაიგზავნა. ერთ-ერთმა მათგანმა ვეფხვს ტრანკვილიზატორი ესროლა, რის შემდეგაც ცხოველი მათ ავტომობილს თავს დაესხა. როდესაც ის მანქანიდან 10 მეტრში აღმოჩნდა, რეინჯერებმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გაუხსნეს ცეცხლი.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბოლო გასროლა საგანგებოდ ვეფხვის მოსაკლავად დაქირავებულმა მონადირემ ასგარ ალი ხანმა გააკეთა. მისი თქმით, მტაცებელი იმყოფებოდა იმ გზაზე, რომელზეც ადამიანები დადიან და ბავშვები ველოსიპედებით სეირნობენ.

— ეჭვს არ იწვევდა ის, რომ ადამიანების სიცოცხლე დიდი საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა, — ხაზგასმით აღნიშნა მონადირემ.

აღსანიშნავია, რომ კაციჭამია ვეფხვის სამძებრო ოპერაციაში 200 რეინჯერი იყო ჩართული, ასევე გამოყენებული იყო ძაღლები და სპილოები, დრონები და ვიდეოკამერები, მაგრამ მრავალი თვის განმავლობაში მისი პოვნა ვერ ხერხდებოდა. ხელისუფლების აღიარებით საქმე ჰქონდათ ძალიან ჭკვიან ცხოველთან.

# ქალაქის მცხოვრებლები მცხობელს ცოლზე ზრუნვაში ეხმარებიან

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სილ-ბიჩის მცხოვრებლები დილიდანვე მიდიან ადგილობრივ საცხობში და მის ნაწარმს ყიდულობენ, რათა მისმა პატრონმა ჯონ ჩანმა სამსახურიდან ადრე წასვლა შეძლოს.

საქმე ისაა, რომ ჯონის მეუღლე სტელა რამდენიმე კვირის წინ ანევრიზმის გამო საავადმყოფოში მოათავსეს. ამის შესახებ ცნობილი გახდა საცხობის მუდმივი მყიდველის დოუნ კავიოლასთვის.




— დღეები გადიოდა, მე კი გამუდმებით ამაზე ვფიქრობდი და შემდეგ დამებადა იდეა, თუ მთელ ნაწარმს დილითვე ვიყიდიდით, ჩანი სამსახურიდან ადრე წასვლას და მეუღლის მონახულებას შეძლებდა, — განაცხადა კავიოლამ.

ქალმა ლოკალურ პორტალში განცხადება გამოაქვეყნა და მას ბევრმა დაუჭირა მხარი. საცხობის ნაწარმი უკვე შუადღისთვის იყიდებოდა და ჯონს შეეძლო სამსახური ჩვეულებრივზე სამი საათით ადრე დაემთავრებინა.

ადგილობრივებმა მცხობელისთვის ფულის შეგროვების წინადადებაც წამოაყენეს, მაგრამ ჯონმა ამაზე სასტიკი უარი თქვა.

— მან გვითხრა, რომ საკმარისი ფული აქვს. მას უბრალოდ სურს, რომ მეუღლის გვერდით უფრო მეტი დრო გაატაროს, — დაამატა კავიოლამ.

# ხელებშეკრულმა პოლიციელმა დამნაშავე განაიარაღა



ჩინეთის ხენანის პროვინციის ლოხეს ოლქში პოლიციელმა, რომელმაც დამნაშავეს თავი ხელებშეკრულად მოაჩვენა, მძევლად აყვანილი ქალი გადაარჩინა. სპეცოპერაციის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე იქნა გამოქვეყნებული.

ვიდეოს კადრებში ჩანს, თუ როგორ მიაბჯინა დამნაშავემ ქალს ყელზე დანა და მისი მოკვლით იმუქრებოდა, ხოლო პოლიციელებისგან მოითხოვდა, რომ მას არ მიახლოებოდნენ. მოლაპარაკებების დროს ერთ-ერთმა სამართალდამცავმა, პოლიციის სპეცრაზმის კაპიტანმა ვანგ პეიმ დამნაშავე დაითანხმა, რომ ქალის მაგივრად ის აეყვანა მძევლად და მის დასამშვიდებლად შესთავაზა, რომ მას ხელებ და ფეხებშეკრული ჩაბარდებოდა.

როგორც კი ვანგ პეი დამნაშავის გვერდით აღმოჩნდა, მოულოდნელად ხელები გაითავისუფლა და მას თავს დაესხა. პოლიციელს ამ დროს კოლეგებიც მიეშველნენ და მამაკაცი განაიარაღეს.

ოპერაციის დროს პოლიციელი დაიჭრა, მძევალი კი არ დაშავებულა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 7 ნოემბრისათვის



**ვერძი** — შესაფერისი დროა გარემოს შესაცვლელად და გასართობად. იზრუნეთ საკუთარ თავზე. **კურო** — უსიამოვნებას თავიდან მხოლოდ დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა აგაცილებთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **ტყუპები** — გარშემომყოფებს მეტი სითბო აჩუქეთ. გულისხმიერება, დათმობა, მიტევება დღის დევიზია. **კირჩხიბი** — გადაღლილი ხართ. დაისვენეთ. ემოციები მოთოკეთ და მხოლოდ პოზიტიურზე იფიქრეთ. **ლომი** — ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და კატეგორიული. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** — ერიდეთ ხალხმრავლობას. გირჩევთ, განმარტოვდეთ, იკითხოთ წიგნები, უბრალოდ, დაისვენოთ ყოველდღიური ალიაქოთისაგან. **სასწორი** — აფორიაქებული ხართ. საქმიანი პარტნიორის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას უცებ ნუ დათანხმდებით. **ღრიანკალი** — პირადი ცხოვრებით უკმაყოფილო ხართ. დროა, პარტნიორთან ურთიერთობაში კორექტივები შეიტანოთ, ოღონდ ისე, რომ საკუთარი თავი არ დააზარალოთ. **მშვილდოსანი** — ნებისმიერ სფეროში დიდი წინდახედულობა გმართებთ. ერიდეთ კონფლიქტს ხელმძღვანელობასთან. **თხის რქა** — თქვენი ავტორიტეტი საფრთხის ქვეშ არის. კრიტიკას მეტისმეტად მტკივნეულად ნუ მიიღებთ. მშვიდად იყავით. **მერწყული** — საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. მატერიალური მდგომარეობა არც ისე ცუდია, როგორც გგონიათ, თუმცა ფულს იოლად მაინც ნუ გაფლანგავთ. **თევზები** — ირწმუნეთ საკუთარი ძალების. სხვის იმედზე ნუ იქნებით. თქვენი მომხიბვლელობა საოცრად იზრდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი; 2. დაბა სიღნაღის რაიონში; 3. ღია ცის ქვეშ მოწყობილი ეთნოგრაფიული მუზეუმის სახელწოდება სკანდინავიურ ქვეყნებში; 4. ნოდარ დუმბაძის რომან „კუკარაჩას“ პერსონაჟი; 5. ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 9. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული დიდი დათვი; 12. გადასახადებისგან გათავისუფლებული ყმა ძველად საქართველოში; 14. დაღესტნელთა სახელწოდება საქართველოში ძველად; 15. კამეჩის ნაშიერი; 17. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 18. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში.

**თარაზულად**: 6. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული; 7. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 8. პორტუგალიური ღვინო; 10. ქალაქი ესტონეთში; 11. „შაჰნამეს“ ქართული ვერსია; 13. ხელშეკრულებაში, ანდერძში შეტანილი საგანგებო პირობა; 16. სამკაულების დასამზადებელად გამოყენებული ზოგიერთი მოლუსკის ნიჟარის შიგა ფენა; 19. მეტროს სადგური თბილისში; 20. კუთხმზომი გეოდეზიური ხელსაწყო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პუმა; 2. პაიკი; 3. გრიგი; 5. სეგუნი; 6. ლაშარელა; 9. ულტიმატუმი; 10. ჰართფილდი; 11. იაკიტორია; 14. ლია; 16. შაპიტო; 18. კიტო.

**თარაზულად:** 1. პომპეო; 4. მისტრალი; 7. დიჟონი; 8. გოლეული; 12. სტელა; 13. ალკალა; 15. მთიები; 17. ეტა; 19. ბურგომისტრი; 20. ქინთი; 21. ბორანო.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პალერმო; 2. აბული; 3. მოძახილი; 4. დროზერა; 5. შამპანური; 9. აკვანი; 12. სოპრანო; 14. უტოპია; 15. ნანა; 17. ჯამნა; 18. ასლი.

**თარაზულად:** 6. ხარები; 7. კოტირება; 8. ტეკილა; 10. გენუა; 11. როინაშვილი; 13. კულინანი; 16. კოტეჯი; 19. სელადონი; 20. ჩანჩქერი.

# ირმა სოხაძემ მოგებული ფული ნიჭიერთა ათწლედს გადასცა



მომღერალმა ირმა სოხაძემ მონაწილეობა მიიღო გადაცემაში „ხარ თუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი“, სადაც გაიმარჯვა და მოგებული ფული მთლიანად მშობლიურ ნიჭიერთა ათწლედს გადასცა.

ირმა სოხაძე ყოფილი ათწლედელია. მის მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემაში „ხარ თუ არა მეექვსეკლასელზე ჭკვიანი“ მოგებული თანხით კლავიშიან ინსტრუმენტებს შეაკეთებენ.

# ოპერისა და ბალეტის საბალეტო დასი ომანში გასტროლებზე წავიდა



თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასი ომანში გასტროლებზე წავიდა.

მასკატის სამეფო თეატრის სცენაზე პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტი „მძინარე მზეთუნახავი“ იქნება წარმოდგენილი, რომლის ქორეოგრაფიული რედაქცია ნინო ანანიაშვილსა და ალექსეი ფადეეჩევს ეკუთვნით. სპექტაკლები სამი დღის განმავლობაში იქნება წარმოდგენილი.

საგასტროლოდ დასი თითქმის სრული შემადგენლობით გაემგზავრა. სპექტაკლებში მთავარ პარტიებს ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტები ნუცა ჩეკურაშვილი, რუიკა იოკოიამა, ნინო სამადაშვილი, იონენ ტაკანო, ბორის ჟურილოვი და ფილიპ ფედულოვი შეასრულებენ.

სპექტაკლებს პრაღის ფილარმონიის ორკესტრის თანხლებით ალევტიკა იოფე უდირიჟორებს.

# „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ირაკლი კაკაბაძემ დატოვა



„ცეკვავენ ვარსკვლავები“ კიდევ ერთმა წყვილმა დატოვა. ირაკლი კაკაბაძე მესამედ გახდა აუტსაიდერი და ამჯერად იგი მაყურებელმა ველარ გადაარჩინა.

ორკვირიანი შესვენების შემდეგ „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ეთერში დაბრუნდა და მისი მონაწილეები განახლებულმა ჟიურიმ შეაფასა. უცვლელ გოჩა ჩერტკოევს სოფო შევარდნაძე შეუერთდა, პროექტის ერთ-ერთი სეზონის გამარჯვებულმა ქეთი ხატიაშვილმა კი, როგორც ჟიურის წევრმა, უკვე მეორედ შეაფასა კონკურსანტები.

ირაკლი კაკაბაძე მისთვის უკანასკნელ საკონკურსო ტურში ახალ პარტნიორთან ლიკა ღუღუნიშვილთან ერთად გამოჩნდა. ლიკამ მოცეკვავე ელენე სურმანიძე შეცვალა. წყვილმა სალსა იცეკვა, თუმცა ვერც ჟიურისგან და ვერც მაყურებლისგან მაღალი ქულების მიღება ვერ შეძლო.

ირაკლი კაკაბაძესთან და ლიკა ღუღუნიშვილთან ერთად აუტსაიდერები მოდელი თამთა შედანია და მისი მეწყვილე ირაკლი ძაძამია გახდნენ. მაყურებლის გადაწყვეტილებით კი საბოლოოდ პროექტი ირაკლი კაკაბაძემ დატოვა.

შოუს ლიდერები, მაყურებლისა და ჟიურის გადაწყვეტილებით, გიორგი გილიგაშვილი და სალომე ჭაჭუა გახდნენ. მათ მიერ შესრულებულმა ვენურმა ვალსმა ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურა.

# დიანა ღურწკაია კრემლში გრანდიოზულ კონცერტს გამართავს



მომღერალი დიანა ღურწკაია კრემლის საკონცერტო დარბაზში გრანდიოზულ კონცერტს 29 ნოემბერს გამართავს.

ხმის ჩამწერ სტუდიაში დიანამ უკვე ჩაწერა სერგეი ტროფიმოვის ახალი სიმღერა „სინათლე“. დიანას თქმით, სინათლე ნებისმიერი ადამიანისთვის მნიშვნელოვანია, ამიტომ თითოეულმა მათგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ყველა ადამიანის ცხოვრებაში სინათლე მრავლად იყოს.

დიანამ, კონცერტის დაგეგმვისა და ორგანიზების პარალელურად, ახალი ალბომიც ჩაწერა და მას „პანიკა“ დაარქვა. მომღერალმა გორან ბრეგოვიჩთან, ილია რეზნიკთან და კარენ კავალერიანთან ერთად იმუშავა.

# სამგლოვიარო განცხადებები

პ. ბერაია, ს. მუმლაძე, თ. რაზმაძე, გ. გელაშვილი, გ. ცარციძე, ნ. გოგალაძე, ნ. წულაია, ბ. შეყლაშვილი, დ. ხარაშვილი, სოფო კალანდაძე მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი მეგობრის მამუკა ლომიძის მამიდის

**ცეზარ ბლიაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ნიკო ფიროსმანის ნამუშევრები გერმანიაში გამოიფინება



ნიკო ფიროსმანის ნამუშევრები გერმანიაში, დიუსელდორფის ხელოვნების მუზეუმში გამოიფინება. გამოფენა მოიცავს 1910-1960 წლების პერიოდს.

საექსპოზიციო სივრცე 5 თვის განმავლობაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ნიკო ფიროსმანაშვილის მირზაანის სახელმწიფო მუზეუმისა და ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცულ ნამუშევრებს დაეთმობა.

გამოფენაზე, რომელიც 10 ნოემბრიდან 2019 წლის 10 მარტამდე გაგრძელდება, წარმოდგენილი იქნება ქართველი მხატვრის ნამუშევრები „მალაკნების ქეიფი“, „ხილის დუქანი“, „ორთაჭალის ტურფა“ და ნატურმორტი. ფიროსმანთან ერთად გამოფენაზე მისული დამთვალიერებელი ნახავს პაბლო პიკასოს, ამადეო მოდილიანის, მარკ შაგალის, ვასილი კანდინსკის, კაზიმირ მალევიჩის ნამუშევრებს.

წინასაგამოფენო მზადების პროცესში ჩართულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახური, რომელსაც დიუსელდორფში სამსახურის უფროსის მოადგილე ირმა დოლიძე წარმოადგენს. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხრიდან კი ქართულ დელეგაციას კონსერვატორი ევლინა კარსელი უხელმძღვანელებს.

ნიკო ფიროსმანის ნამუშევრების ტრანსპორტირებას წინ უძღოდა მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი პროცედურული და მოსამზადებელი სამუშაოები. ამ დროისათვის გამოფენა მზადების პროცესშია.

# „ცისფერი მთები“ გერმანულად ითარგმნა




ქართველი მწერლის რეზო ჭეიშვილის „ცისფერი მთები“ გერმანულ ენაზე ითარგმნა.

ნაწარმოები ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით გერმანულ ენაზე ითარგმნა და გერმანული გამომცემლობის მიერ გამოიცა.

რეზო ჭეიშვილის „ცისფერი მთების“ გერმანულენოვან თარგმანზე ეკატერინე ტეტიმ და იულია დენგმა იმუშავეს.

„ცისფერი მთები“ ქართველ მკითხველში განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს. სწორედ ამ ნაწარმოების მიხედვით გადაიღო ფილმი რეჟისორმა ელდარ შენგელაიამ, რომელიც ქართული კინოს შედევრად არის აღიარებული. რეზო ჭეიშვილის ნაწარმოების პერსონაჟები ცნობილმა ქართველმა მსახიობებმა სესილია თაყაიშვილმა, რამაზ გიორგობიანმა, თემიკო ჩირგაძემ, ზეინაბ ბოცვაძემ, გურამ ლორთქიფანიძემ, ოთარ კობერიძემ, ლიკა ქავჟარაძემ, ივანე საყვარელიძემ, ლია ელიავამ გააცოცხლეს.

# მსოფლიოში აღიარებული მაესტრო დანიელ ორენი თბილისში ჩამოდის



სახელგანთქმული მაესტრო დანიელ ორენი თბილისში ჩამოვა და ორ კონცერტს უდირიჟორებს.

– მზად ვარ დიდებული მუსიკისა და დიდებული ემოციების კვირეულისთვის, ასევე მშვენიერ პუბლიკასთან შესახვედრად საქართველოში, – აცხადებს მაესტრო.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში კონცერტები 10 და 14 ნოემბერს გაიმართება. ორკესტრს მსოფლიოში ცნობილი დირიჟორი, თბილისის ოპერის თეატრის მუსიკალური დირექტორი დანიელ ორენი უდირიჟორებს.

10 ნოემბერს შესრულდება ვერდის „რეკვიემი“, რომელშიც სახელგანთქმული ქართველი მომღერლები იანო ალიბეგაშვილი, ნინო სურგულაძე, ოთარ ჯორჯიკია, გიორგი ანდღულაძე მიიღებენ მონაწილეობას.

14 ნოემბერს კი აჟღერდება ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მე-9 სიმფონია იანო ალიბეგაშვილის, ნინო სურგულაძის, გიორგი ანდღულაძისა და არმაზ დარაშვილის შესრულებით.

კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ოპერის თეატრის გუნდი და ორკესტრი.

# სათხის ეკლესიის კანკელის ამ დრომდე მიუკვლეველი ფრაგმენტები ეროვნულ მუზეუმს გადაეცემა



სათხის ეკლესიის კანკელის ამ დრომდე მიუკვლეველი ფრაგმენტები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს გადაეცემა.

8 ფრაგმენტი, რომელიც სამონასტრო კომპლექსზე მიმდინარე არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლინდა, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონატებს შეემატება და დროთა განმავლობაში ექვთიმე თაყაიშვილის მიერ XX საუკუნის დასაწყისში ბოლნისიდან თბილისში ჩამოტანილ კანკელთან კონსოლიდირდება.

ქვის ორნამენტიანი ნატეხები სათხის კანკელის ზედა მარჯვენა ნაწილის ფრაგმენტებია, რომელზეც ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი. პატარა წარწერიან ფრაგმენტზე მითითებული ქორონიკონი საზღვრავს და საბოლოოდ აზუსტებს ქვემო ქართლის ეკლესიებისა და მათი კანკელების მთელი ჯგუფის ქრონოლოგიას და გვაუწყებს, რომ ამ ეკლესიათა წარწერებში მოხსენიებული მეფე გიორგი, რომელსაც აქამდე მეფე გიორგილაშასთან იყო გაიგივებული, სინამდვილეში მეფე გიორგი მესამეა.

ახლად მიკვლეული ფრაგმენტის ხელოვნების მუზეუმში დაცულ კანკელთან იდენტიფიცირება ხელოვნებათმცოდნეების გიორგი გაგოშიძისა და თამაზ გოგოლაძის მიერ განხორციელდა, რომლებიც ამ დასკვნამდე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მივიდნენ. კანკელის ახლად აღმოჩენილ ფრაგმენტზე იკითხება შემდეგი ტექსტი: „[ქ](რონი)კ(ო)ნი იყო ტჟა (1171 წ.)“ ფრაგმენტის ტექსტი თამაზ გოგოლაძემ წაიკითხა, ხოლო მასზე მითითებული თარიღი ხელოვნებათმცოდნე თემურ ჯოჯუას მიერ დაზუსტდა.

სათხის სამონასტრო კომპლექსის სრულმასშტაბიანი სარეაბილიტაციო პროცესი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და „საყდრისის კომიტეტის“ წევრების ერთობლივი ინიციატივით მე-5 თვეა მიმდინარეობს. პროექტი სააგენტოს ორგანიზებითა და კომპანია „არემჯი გოლდის“ დაფინანსებით მიმდინარეობს და ის საქართველოს საპატრიარქოს 4 ეპარქიას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კომპანია „არემჯის“ შორის გასულ წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება. სათხის სამონასტრო კომპლექსთან ერთად, გასულ წელს ხელმოწერილი დოკუმენტი ეროვნული კატეგორიის მქონე კულტურული მემკვიდრეობის 7 უძრავი ძეგლის რეაბილიტაციის 4- წლიან პროგრამას მოიცავს და მილიონ 700.000 ლარის გამოყოფას გულისხმობს.

არქიტექტორ-რესტავრატორ გოგოთურ მისრიაშვილის საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე V-X საუკუნეებისდროინდელი ტაძარი ისტორიულ სახეს აღიდგენს. საველე-არქეოლოგიური სამუშაოები არქეოლოგების ლალი ახალაიასა და გურამ ყიფიანის ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**7 ნოემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7383

ევრო — 3.1162

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5628

100 რუსული რუბლი — 4.1226

## ამინდის პროგნოზი 7 ნოემბრისთვის




# მასმედიამ ავსტრალიისა და ოკეანიის ტურში მეგან მარკლის სამოსი შეაფასა



იმ ჩასაცმელების ღირებულებამ, რომლითაც დიდი ბრიტანეთის პრინცის ჰარის მეუღლე მეგან მარკლი ავსტრალიისა და ოკეანიის ტურის დროს საზოგადოებაში ჩნდებოდა, დაახლოებით 130 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 16 დღიანი ტურის დროს მარკლმა დაახლოებით 30 სამოსი გამოიცვალა.

მათ შორის ყველაზე იაფფასიანის ღირებულება 380 ფუნტ სტერლინგს შეადგენდა, ხოლო ყველაზე ძვირადღირებულის 17 ათას ფუნტ სტერლინგს.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მარკლი ჩასაცმელის შერჩევისას განსაკუთრებული მიზეზებით ხელმძღვანელობდა. მაგალითად, ის ხალხში გამოჩნდა ავსტრალიური ბრენდის Outland Denim-ს ჯინსებით, რომლითაც მუშებმა ადამიანით მოვაჭრეებს დააღწიეს თავი, ასევე საზოგადოებაში გამოჩნდა ფეხსაცმლით, რომლებიც გადამუშავებული ბოთლებისგანაა დამზადებული.

# მელანია ტრამპი პრესას პრეზიდენტის დისკრედიტაციას სდებს ბრალად



აშშ-ის პირველმა ლედიმ მელანია ტრამპმა მასმედიას ქვეყნის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის დისკრედიტაციაში დასდო ბრალი.

– დემოკრატები და ოპოზიციური პრესა, რაც კი შეუძლია, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ცრუ ბრალდებებით დონალდის დისკრედიტაცია მოახდინონ, – განაცხადა პრეზიდენტის მეუღლემ.

მისი თქმით, აშშ-ში მასმედია ცდილობს, იმის ილუზია შექმნას, რომ ტრამპი მოსახლეობის მხარდაჭერით არ სარგებლობს.

მან ასევე ამერიკელებს მოუწოდა, არჩევნებზე დაამტკიცონ, რომ დემოკრატები და მასმედია ცდება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ინტერი იკარდის გაყიდვას არ აპირებს



მილანის ინტერი მაურო იკარდის გაყიდვას არ აპირებს. ამის შესახებ ინტერის სპორტულმა დირექტორმა ხავიერ ძანეტიმ გააკეთა განცხადება.

ძანეტის თქმით, იკარდის შეძენა ბევრ გუნდს სურს, მაგრამ ინტერი მას არ გაყიდის:

– მაურო ჩვენი ლიდერია და ის ინტერში თავს კარგად გრძნობს. იკარდის მსგავსი ფეხბურთელი ბევრი არ არის, ამიტომ მის დათმობას არ ვაპირებთ.

მაურო იკარდის შეძენა მადრიდის რეალს უკვე დიდი ხანია სურს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ტრანსფერი არ შედგება.

# პოჩეტინომ რეალს უარი უთხრა



ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა მოურისიო პოჩეტინომ მადრიდის რეალს უარი უთხრა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რეალმა პოჩეტინოს წელიწადში 18 მილიონი შესთავაზა, მაგრამ არგენტინელმა სპეციალისტმა ინგლისში დარჩენა ამჯობინა.

ეს ინფორმაცია რეალს არ დაუდასტურებია, თუმცა პოჩეტინოზე ადრეც საუბრობდნენ. ამჟამად მადრიდელებს სანტიაგო სოლარი წვრთნის და, შესაძლოა, მას დიდხანს მოუწიოს დარჩენა, რადგან ჯერჯერობით რეალმა ახალი მწვრთნელი ვერ მოძებნა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# იუმორი

დედა შვილს ეუბნება:

– შვილო, მუსიკას ასე ხმამაღლა ნუ უსმენ, თორემ დაყრუვდები.

– არა, გმადლობ, დედიკო, არ მშია.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემს მეუღლეს სილამაზის სალონში წასასვლელად 200 ლარი ვთხოვე.

– მერე, მოგცა?

– იმ ნამუსგარეცხილმა საგულდაგულოდ შემათვალიერა და 500 ლარი მომცა.

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– უხასიათოდ რატომ ხარ?

– ბიჭი შემეძინა გუშინ.

– მერე, არ გიხარია?

– რა უნდა მიხაროდეს, სამშობიაროში ამიწონეს და 3 კილო და 700 გრამიაო, მითხრეს...

– მერე?

– რა მერე, მოვიყვანე სახლში, ავწონე და ზუსტად სამი კილო გამოვიდა. ყველგან შენი სასწორით როგორ უნდა იარო, ამის დედა ვატირე!

●●●

სასაფლაოს დარაჯი კაცს ეკითხება:

– მაგ საფლავზე რატომ გაწოლილხარ?

– სიდედრი დავმარხე ორი დღის წინ.

– რა, ასე ძალიან გიყვარდა, ზედ რომ გაწოლილხარ?

– ეგ შენი საქმე არ არის.

– მაშინ ადექი მანდედან.

– აბა, კი! გუშინ ათი წუთით ავდექი და, უკან რომ მოვბრუნდი, საფლავიდან ამომხტარი დამხვდა, ეს შობელძაღლი.

●●●

მოსამართლე სატვირთო მანქანის მძღოლს ეკითხება:

– 15 კაცი როგორ გაიტანე?

– როგორ, ბატონო მოსამართლევ და, სტადიონთან რომ მივდიოდი, გზაზე მატრაკვეცა მოხუცი ქალი გადმომიხტა. ვიფიქრე, ამას რომ ავაცილო, სტადიონზე შევვარდები, იქ კი მატჩია და იმდენი ხალხის დაღუპვას ერთი მოხუცი ქალის სიკვდილი სჯობია-მეთქი.

– კი მაგრამ, 15 კაცი როგორღა გაიტანე?

– ხომ გითხარით, მატრაკვეცა ქალი იყო, პირდაპირ სტადიონისკენ არ გაიქცა?!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00–19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენი ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00–19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


# არსენ ვენგერი, შესაძლოა, მილანის მწვრთნელი გახდეს

ჯენარო გატუზოს მილანში დიდი დღე არ უწერია და ის, სავარაუდოდ, ზამთარში დატოვებს თავის პოსტს. მის შემცვლელად ბევრი კანდიდატურა სახელდება და ბოლო პერიოდში არსენ ვენგერზეც ჩამოვარდა საუბარი, რომელიც არსენალიდან წამოსვლის შემდეგ სამწვრთნელო კარიერის დასრულებას არ აპირებს.

ვენგერი მზად არის, ევროპული ფეხბურთის რომელიმე გრანდს ჩაუდგეს სათავეში, ამიტომ მისი მილანში დანიშვნა სიურპრიზი არ იქნება.

შეგახსენებთ, რომ ვენგერი 22 წლის განმავლობაში იყო არსენალის მთავარი მწვრთნელი.

# კონტე ჩელსისგან 23 მილიონ ევროს ითხოვს



ანტონიო კონტე ლონდონის ჩელსის სასამართლოში უჩივის და მისგან 23 მილიონ ევროს ითხოვს.

კონტე ჩელსის რეპუტაციის შელახვაში ადანაშაულებს და მორალური კომპენსაციის სახით ითხოვს ამ თანხას.

ჩელსი ამ მოთხოვნას არ იზიარებს და კონტეს აქეთ ადანაშაულებს, რომ ის ხშირად არღვევდა სპონსორთან დადებულ ხელშეკრულებას და ზოგჯერ პრესკონფერენციებზეც აგვიანებდა ხოლმე.

კონტემ ჩელსიში ორი სეზონი გაატარა და პირველ სეზონში მან პრემიერ ლიგის მოგებაც შეძლო, მაგრამ შარშან კონტეს ფეხბურთელებთან ურთიერთობა გაუფუჭდა და ჩელსიმაც ვერ აჩვენა კარგი შედეგები, რის შემდეგაც იტალიელი სპეციალისტი გაათავისუფლეს.

# ემპოლი მწვრთნელის გარეშე დარჩა

ლევან მჭედლიძის ემპოლი წლევანდელ სეზონში ძალიან ცუდად ასპარეზობს და გასავარდნ ზონაში იმყოფება, რის გამოც მათ მთავარი მწვრთნელი აურელიო ანდრეაცოლი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაიკავებს მის ადგილს და ემპოლი რამდენიმე კანდიდატურას განიხილავს.

თუ გუნდმა მდგომარეობა არ გამოასწორა, მაშინ ემპოლი ისევ დაემშვიდობება სერია ა-ს.

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მადნიდან ლითონის გამოდნობის შემდგომ დარჩენილი მასა; 2. ღვინის, ვაზის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 3. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ფირმა „ფიატის" დამფუძნებელი; 6. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 9. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსავლენად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 10. უბანი ქუთაისში; 11. ესპანური ჩქარტემპიანი ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 14. ავსტრალიური სირაქლემა; 16. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 18. ხეობა სტეფანწმინდის რაიონში.

**თარაზულად**: 1. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 4. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 7. პოპულარული ქართული სიმღერა; 8. პატარა სამკუთხა ალამი; 12. ძვირფასი ლითონების წონის ერთეული; 13. ერთი ბგერიდან მეორეზე გადაბმით გადასვლა მუსიკაში; 15. ესპანელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 17. რაიმეს ჩამონათვალი; 17. ნიადაგის გასაფხვიერებელი აგრეგატი; 20. ფულის ერთეული ირანში; 21. ტკბილეული, დესერტი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

